


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს უმცავეს არსებული უცხოური წყაროების კოფისია



მეჯრ-ოს-საღვანე

# ქადაქ თბილისის ელნეკა

„მეცნიერება“

1971

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ  
წიგნი XXVII

მაჯდ-ოს-სალტანე

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ ИСТОЧНИКОВ  
О ГРУЗИИ

МАДЖД-ОС-САЛТАНЭ

ბრძანებას მისცა მადჯდ-ოს-სალტანე  
საბუღალტროს მინისტრს  
1877 წელს

## ОПИСАНИЕ ГОРОДА ТБИЛИСИ

*Подготовка к изданию, перевод и комментарии  
М. Г. Мамацашвили*



ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ

1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს ფესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

მაჯღ-ოს-სადვანე

## ქადაქ თბილისის კლნეჩა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები  
დნურთლ მანია მამაჯაშვილმა

ცხიბულაძე

გამოცემლობა „მეცნიერება“  
თბილისი

1971

მაჯდ-ოს-სალტანე თავის წიგნში „ქალაქ თბილისის აღწერა“ გვაძლევს XIX საუკუნის მიწურულის თბილისის ცხოვრების სურათს, ავგიწერს ქალაქის კულტურულ-ეკონომიური ყოფის სხვადასხვა მხარეს.

თბილისს გარდა ავტორი ეხება აგრეთვე კავკასიის ადმინისტრაციულ დაყოფას, მის ცენტრებს, მოსახლეობას და ნაწილობრივ ისტორიასაც.

მთავარი რედაქცია:

ი. აბულაძე

ვლ. ფუთურიძე

ს. ყაუხჩიშვილი, გ. წერეთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია,

სპარსული წყაროების სერიის რედაქტორი

ვლ. ფუთურიძე

გენერალი მაჯდ-ოს-სალტანე, „ქალაქ თბილისის აღწერის“ ავტორი, ყაჯართა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელია. ცნობები მის შესახებ თითქმის არ არსებობს. ჩვენთვის არსებითად მხოლოდ ის არის ცნობილი, რასაც თავად მაჯდ-ოს-სალტანე გვიამბობს წინამდებარე „მოგზაურობასა“ და „ოსმალეთის ავრესიის ისტორიაში“. ავტორის ორივე თხზულება ხელნაწერის სახითაა დაცული კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის აღმოსავლურ ფონდში (P—170, P—174).

„ქალაქ თბილისის აღწერა“ სპარსელი მოგზაურის ერთბაშად მიღებული შთაბეჭდილების ნაყოფია. მოგზაურობა უსათაუროა. ჩვენ პირობითად მივეცით მას ეს სათაური.

თავის „აღწერაში“ მაჯდ-ოს-სალტანე გვაძლევს 1894 წლის თბილისის ცხოვრების სურათს. დაწვრილებით აგვიწერს ქალაქის კულტურულ-ეკონომიური სოფის სხვადასხვა მხარეს. ყველგან თავს იჩენს ავტორის მოკრძალება და პატივისცემა სხვა ქვეყნისადმი, უცხო ხალხისადმი.

მაჯდ-ოს-სალტანე არსად ავლენს თავის ნაციონალურ, განსაკუთრებით კი კლასობრივ მიკერძოებულობას, თუმცაღა ყველაფერს მაინც იმ კლასის თვალით უყურებს, რომელსაც ეკუთვნის. ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის შეფასებისას მოგზაური შედარებით მეთოდს მიმართავს. კრიტიკიუმი მისთვის მისივე ქვეყანაა. ცხადია, რიგ შემთხვევაში ეს შეფასება ობიექტური ვერ იქნება. იმ დროისათვის ეკონომიურად ჩამორჩენილ ირანიდან ჩამოსულ მოგზაურს კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში ბევრი რამ აოცებს. ხშირად იგი ვერც მაღავეს საქართველოს თანამედროვე მიღწევებით გამოწვეულ აღტაცებას.

მოგვითხრობს მაჯდ-ოს-სალტანე საღად, გულუბრყვილოდ და მარტივად. ხელნაწერში აქა-იქ გვხვდება გეოგრაფიული უზუსტობანი, მაგრამ რადგან ისინი ავტორისეულია ჩვენ მას ვტოვებთ უცვლელად.

მკითხველის ყურადღებას აღარ შევაჩერებთ ამ „აღწერის“ დაწერილებით განხილვაზე, ვინაიდან არსებობს მაჯდ-ოს-სალტანესა და მისი შრომების შესახებ სპეციალური წერილი, რომელიც გამოუქვეყნებელი დარჩა აწ განსვენებულ დოცენტ ვლ. ფუთურიძეს. ვსარგებლობთ შემთხვევით და ქვემოთ ვბეჭდავთ ამ წერილს.

მ. მამაცაშვილი

## მაჯდ-ოს-სალტანე და მისი შრომები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს აქვს სპარსული ხელნაწერი წიგნების მნიშვნელოვანი კოლექცია, რომლის საფუძველს შეადგენს მაჯდ-ოს-სალტანეს მიერ შეკრებილი ხელნაწერები. მაჯდ-ოს-სალტანეს კოლექცია ფრიად საყურადღებო ერთეულებს შეიცავს. აქ ჩვენ ვხვდებით ძველი განმარტებითი ლექსიკონების, ე. წ. ფარჰანგების მშვენიერ ცალებს (ჯაჰანგირის და სხვ.), საექიმო წიგნებს, საისტორიო ნაწარმოებებს (ისქანდერ მუნშის, ვასაფის, მოჰამედ თაჰერის და სხვ), ცნობილი პოეტების ჰაფეზის, საადის და სხვათა დივანებს. ერთი სიტყვით, ეს კოლექცია წარმოადგენს განათლებული ირანელის კულტურული ინტერესების სურათს.

მაჯდ-ოს-სალტანეს კოლექციაში მოიპოვება თვით მისი მფლობელის და შემკრების ნაწარმოებნი, რომელნიც ახასიათებენ მათ ავტორს, როგორც პროგრესულად მოაზროვნე ირანელს.

ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული მაჯდ-ოს-სალტანეს შრომა „ოსმალეთის აგრესიის ისტორია“. „წიგნის დაწერის მიზეზის“ შემდეგ ავტორი მოგვითხრობს თავის თავზეც და ამბობს, რომ მის შესახებ ცალკე ისტორიის დაწერა შეიძლება იმდენი რამ უნახავს და გადახდენია თავს. აქვე განაგრძობს ავტორი, რომ 1903 წელს მან მთელი თავისი ოჯახი ურმიიდან თბილისში გადმოიყვანა და იქ დასახლდა. ამის მთავარი მიზეზი ყოფილა ის, რომ „ჩვენს ქვეყანაში ამჟამად სრულებით არ არსებობს, როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, აღზრდა-განათლების მიღების პირობებით“. თბილისში გადმოსვლისთანავე მაჯდ-ოს-სალტანეს გადაუწყვეტია დასტოვოს სამხედრო სამსახური, იცხოვროს თბილისში მყუდროდ, განმარტოებით და შეიღების აღზრდას მოანდომოს თავისი დრო, ვინაიდან ავადმყოფობაც აწუხებდა და თან სამხედრო უფროსებთანაც ვერ იყო შეწყობილი. მაგრამ უფროსები არ მოშვებიათ და იძულებული გამხდარა დაბრუნებულიყო სახელმწიფო სამსახურში. 1924 წელს (1906—1907) სამჯერ მოსვლია



დებეშით ბრძანება დაბრუნების შესახებ და სამივეჯერ ხოი-სალამასის და ურმიის ჯარების სარდლად დაუნიშნავთ. ეს ის დრო იყო, როცა რევოლუცია მძვინვარებდა და მთელს ირანში ენჯუმენები არსდებოდა, ზოგან დემოკრატიულ-რევოლუციონური, ზოგან რეაქციონული. ენჯუმენის თავმჯდომარედ მოსახლეობას ერთხმად აურჩევია მაჯდ-ოს-სალტანე, მაგრამ მას მიზანშეწონილად არ მიუჩნევია წინანდელ დეპუტატთა შეცვლა, მეჭლისში წასვლაზე უარი უთქვამს, ხოლო ხალხს შეპირებია — ველაიეთის საქმეებს მივხედავო.

ცალკე თავრიზის ენჯუმენიდან მოუთხოვიათ იგი დებეშით, რათა სახელმწიფო ლაშქრის უფროსად დაენიშნათ, მაგრამ მოსახლეობამ აქაც იძალა და არ გაუშვეს.

ნაშრომში მოცემულია რევოლუციის სურათებიც. აღწერილია ბრძოლა რევოლუციის მომხრეებისა რეაქციონერებთან. ნაწილი ამ ცნობებისა გაზეთ „ფერიად“-იდან არის ამოღებული. ავტორს აღწერილი აქვს აგრეთვე ქურთი ტომების მიერ ურმიის სანახების დარბევა. ცალკე თავები აქვს დათმობილი შეიხ აბდულას მავნე მოღვაწეობის აღწერას ურშიაში, აგრეთვე აბდუ ყადერის მიერ სოფლებისა და ქალაქების დარბევის ამბებს. აღწერილი სამხედრო მოქმედება ხელნაწერში ჩაკერებულია შემდგომ და შესრულებულია სხვა ხელით (საკმაოდ განსხვავებული, გაურკვეველი შექასთებით). ეს ფურცლები ყოფილა მაჯდ-ოს-სალტანეს ავტოგრაფი, შავები, რომლიდანაც არის შემდეგ გადაწერილი ეს ტექსტი. რა მიზნით იყო ჩაკერებული ტექსტში ეს ფურცლები, გაუგებარია.

ხელნაწერის 130-ე გვერდიდან იწყება თვით „ოსმალეთის აგრესია“ ირანის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაკვეთს სხვა სათაური აქვს. ეს ნაწილი იწყება თურქების მცირე აზიაში მოსვლისა და დასახლების ამბების აღწერით. ავტორი აქ დაწვრილებით ავტოწერს ომს ჩილდირანთან, ყიზილბაშების დამარცხების მიზეზს.

ამის შემდეგ მოდის ისტორიული თხრობა ოსმალეთსა და ირანს შორის მომხდარი მრავალწლოვანი ომების შესახებ. წყაროდ ამ თხრობისათვის ავტორს გამოუყენებია ისეთი ცნობილი საისტორიო შრომა, როგორცაა ისქანდერ მუნშის თხზულება, საიდანაც მაჯდ-ოს-სალტანეს მთელი თავები აქვს გადმოწერილი.

მაჯდ-ოს-სალტანეს ამ ნაშრომის პირველ ნაწილს უდავოდ გარკვეული მნიშვნელობა აქვს, როგორც ერთ-ერთ წყაროს ირანის რევოლუციის ისტორიისათვის. არ უნდა დავივიწყოთ ის მომენტი, რომ ავტორი პრივილეგირებულ კლასს ეკუთვნის და არ შეიძლება თავიდან ბოლომდე რევოლუციურ პოზიციებზე იდგეს. მაგრამ, როგორც ირა-

ნის რევოლუციის ამბების უშუალო მონაწილეს, მას შეუძლია ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობა მოგვაწოდოს ამ ამბების შესახებ.

ავტორს თავის წიგნში შოაქეს თანამედროვე პრესის, კერძოდ გაზეთ „ფრიალ“-ის ცნობები, მოაქვს აგრეთვე დეპეშები, რომლებიც მან მიიღო, ან რომელიც გამოქვეყნდა მაშინ პრესაში სხვადასხვა ისტორიული ამბის გამო. ყველაფერი ეს მეტად საინტერესოა და მნიშვნელოვანი, მაგრამ საჭიროებს შემოწმებას და კრიტიკულ მიდგომას.

რაც შეეხება წიგნის მეორე ნაწილს, რომელშიც ირან-ოსმალეთის ამბებია აღწერილი, მას არ აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ვადმოწერილია ისქანდერ მუნშის „თარხე ალემ არადან“ და ახალს არას შეიცავს.

მაჯდ-ოს-სალტანეს ამავე კოლექციაში დაცულია ერთი ხელნაწერი, რომელიც წარმოადგენს თბილისის აღწერას. ენით, მიზანდასახულებით და სულისკვეთებით ეს ნაწარმოები ახალ სპარსულ ლიტერატურას მიეკუთვნება. ის შეიცავს XIX საუკუნის ბოლო წლების თბილისის აღწერილობას, როგორცადაც ეჩვენებოდა იგი ევროპულ განათლებას ნაზიარებ ირანელს.

ხელნაწერი (174) გადაწერილია მაღალი ხარისხის ევროპულ ქალღმერთზე მომსახილო კალიგრაფიული ნასთალიკით. ტექსტი ჩასმულია ორი წითელი ხაზისაგან შემდგარ ჩარჩოში. ყდა ევროპულია, მუყაოსი. ხელნაწერის პირველი და მეორე გვერდის ტექსტი რამდენადმე დაზიანებულია იმის გამო, რომ ფურცლები შეწებებულია და ნაწერი აშლილია. წიგნს არა აქვს არავითარი შესავალი. საინტერესო ისაა, რომ არც ბისმილა არა აქვს. ტექსტი იწყება პირველ გვერდზე ძალიან მსხვილი ნასთალიკით გამოყვანილი თარიღით: 11 თვის 4, 1312 წელი (1894 წლის, დეკემბრის 3 რიცხვი).

წიგნის პირველ ნაწილში მოკლედ არის ჩამოთვლილი კავკასიის ადმინისტრაციული ნაწილები და მათი ცენტრები; აღნიშნულია მისი მოსახლეობის მრავალფეროვნება, დახასიათებულია თბილისი, როგორც რუსეთის აზიური ნაწილის უპირველესი ქალაქი. მოკლედ არის აღწერილი კავკასიის სხვა ნაწილებიც, ხოლო წიგნის უდიდესი ნაწილი თბილისის დაწვრილებით აღწერას ეთმობა.

ავტორი აგვიწერს თბილისის მთავარ ქუჩებს, მადანიებს, თეატრებს, კლუბებს, ქალაქის ტრანსპორტს — ტრამვაისა და ეტლებს. განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე მუზეუმებს, რომელთა შესახებ დაწვრილებით მოუთხრობს ნიკთხველს. აღწერილი აქვს აგრეთვე რუსის ჯარი და სამხედრო ადათ-წესები. ავტორს არც

ჯანმრთელობის დაცვას სწავლა გამოიჩინა მხედველობიდან და გვი-  
აძობს თბილისისუკიემებისა და საფთვობების შესახებ. მას დაუთვალი-  
ერებია სასოფლო-სამეურნეო იარაღისა და მანქანების გამოყენა-  
ობილისის სხვადასხვა კუთხის აღწერის დროს მუშაობის შესა-  
ხებ ის განუმარტავს მკითხველს, რომ განსვენებულაღა მირ იუსუფის  
შვილს, ააღა მირ ფეოდას რუსეთი ირანის ომის დროს თავიზის რუ-  
ნებისათვის გადაცემის საქმეში მიუღია მონაწილეობა, დაზავების  
შემდეგ შერცხვენია თავისი მოღვაწეობისა, გაჰყოლია რუსებს და და-  
სახლებულა თბილისი, ამ ბაღში, რომელიც აქამდე ატარებს მის  
სახელს.

საინტერესოა აგრეთვე ცნობა მთაწმინდის კალთაზე შეიხ სანანის  
აკლამის შესახებ. ჩანს, XIX საუკუნის დამლევს ცოცხალი ყოფი-  
ლა ისევე ლეგენდა, რომელიც შეიხ სანანის სახელს უკავშირებს მამა  
დავით გარეჯელს.

თავის აღწერილობაში მაჯდ-ოს-სალტანეს შეუტანია ყველაფერი,  
რასაც გაუკვირებია იგი თბილისში. ავტორი გაკვირვებულა ტელე-  
ფონებრთაც. არც ველოსიპედის სარგებლობაზე დავიწყნია ორიოდე  
სიტყვის თქმა და არც ფაბრიკებზე, რომლებიც ირანს აწვდიან ფე-  
ვის ნაწარმს.

მაჯდ-ოს-სალტანე სამხედრო პირი იყო და, ბუნებრივია, მას სა-  
განგებოდ დაინტერესებდა რუსეთის ჯარი. მისი სიტყვით თბილისში  
20 ათასამდეა ქვეითი, ცხენოსანი ჯარი და არტილერია. ის დაწერილე-  
ბით გვიამბობს სამხედრო კანონებისა, სამხედრო პატივის, ღუელის და  
სხვა სამხედრო ზნეთა შესახებ.

რასაკვირველია, თბილისის განთქმულ ობაზოებრც აქვს დაწერი-  
ლებრთ აღწერილი. იგი მოგვითხრობს მათი მოწყობილობის შესახებ,  
აღწესნავს ნომრების რიცხვსა და ფასს.

ასეთია თბილისის აღწერილობა ამ ნაშრომის მიხედვით. ხელნა-  
წერის დასასრულს წვრილად მიწერილია, რომ წიგნი გადასწერა სეი-  
ფულ-ლაჰმა 1312 წელს (1895), ზულ-ჰაჯჯას თვის 13-ს მალახბარის-  
ხოვანი ამირთა ამირის სამსამ-ნეზამის (ე. ი. იმავე მაჯდ-ოს-სალტანეს)  
ბრძანებრთ.

მართალია თბილისის XIX საუკუნის ისტორიისათვის ბევრი სხვა  
მასალა და წყაროც მოგვეპოვება, მაგრამ მაჯდ-ოს-სალტანეს ამ აღ-  
წერილობაშიც შეიძლება ისეთი საინტერესო და ახალი რამე, ჰპოვოს  
თბილისის ისტორიკოსმა, რაც სხვა წყაროებში არ მოიპოვება.  
ამას გარდა ეს ნაშრომი საინტერესოა იმიტაც, რომ, რეფორც ზე-  
ვით უკვე შევნიშნეთ მოკლედ, ის წარმოადგენს ეტრობის ცივილიზა-

ციას ნაზიარებ ირანელის შეხედულებას თანამედროვე ევროპულ ქალაქზე. ამ მხრივაც ეს ძეგლი უთუოდ ირანის კულტურის ისტორიისათვისაც არის საინტერესო.

დაწერილია წიგნი მარტივი ენით და თავისუფლად იკითხება. ავტორის ლექსიკა გამდიდრებულია ფრანგულიდან და რუსულიდან შემოტანილი ახალი ტერმინებით და გამოთქმებით. საყურადღებოა, რომ ავტორი ხმარობს სასვენ ნიშნებს (რომლებიც, საზოგადოდ არაა დამახასიათებელი სპარსული ტექსტებისათვის), სტრიქონებს ქვეშ ჩამოაქვს შენიშვნები, რომლებიც უფრო წვრილადაა დაწერილი, ვიდრე ძირითადი ტექსტი, ერთი სიტყვით, გარეგნულადაც ევროპულ იერს აძლევს თავის ნაშრომს.

---

## ქალაქ თბილისის აღწერა

1894 წლის 4 აგვისტოს პაერის გამოცემის მიზნით მთავრობის ნებართვის მიღების შემდეგ კურორტულ კავკასიაში დავაპირეთ გამგზავრება. მოგზაურობა დავიწყეთ ურმიდან<sup>1</sup> და ვიდრე ძლევამოსილი ირანის ჯულფის გასასვლელს<sup>2</sup> მივადგებოდით, გზაში ხუთი ღამე დავყავით. მხოლოდ მეექვსე დღეს მივალწიეთ აღნიშნულ ადგილს. მგზავრობისას გავიარეთ რამდენიმე დასახლებული პუნქტი, რომელთა სახელებს აქვე ვურთავ: ასკარაბადი<sup>3</sup>, ურმიის სააგარაკო სოფელი — 3 ფარსანგი; ყარაბადი<sup>4</sup>, ყარაბაღლარის ცენტრი — 6 ფარსანგი; ციხე სარაზ დეჰათ სალამასი<sup>5</sup> — 4 ფარსანგი; დიზე-დიზ<sup>6</sup>, ხოის მხარის სოფელი — 4 ფარსანგი; ივავლაი<sup>7</sup>, ხოის მარაქანი — 5 ფარსანგი; ჯულფის გასასვლელი, ირანის ჯულფა — 8 ფარსანგი.

ამ პუნქტებში ხშირია შემთხვევა გზის დარბევისა და მგზავრების გაძარცვისა. ქურდობა ხდება უმეტესად ივავალისა და ჯულფის გასასვლელს შორის — ამ გზაზე ყველაზე მეტი ყაჩაღი და აუზაკი. ხანდახან მაქუს<sup>8</sup> მკვიდრნიც გაერევიან ხოლმე ამათში.

ორშაბათ დღეს, 11 აგვისტოს დიდი პატივით გაგვიყვანეს ბორნით მდინარე არაქსზე<sup>9</sup>, რომელსაც რუსის მოხელენი დიდის გულმოდგინებით იცავენ. მდინარეზე გადასვლის შემდეგ ფოსტის შენობას მივამურეთ. აქაური ფოსტის მთელ ავლადიდებას რამდენიმე დავგილი და დასუფთავებული ოთახი შეადგენდა. თითოეულ ფოსტას 10—40 ცხენი ჰყავდა და სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტს ვანაგებდა: ოთხთვალა ეტლი, მარხილი, ფორანი; ესენი ამანათების გადასაზიდად და საკუთრივ მგზავრების გადასაყვან-გადმოსაყვანად იყო განკუთვნილი. მარხილსა და ფორანს არ აქირავებდნენ, დანარჩენი ტრანსპორტი კი ქირავდებოდა შემდეგი საფასურით: ყოველი ერთი ვერსი ღირდა სამი კაპიკი (რუსული 7 ვერსი ირანულ ერთ ფარსანს უდრის).

მზის ჩასვლამდე სამი საათი იყო დარჩენილი, რომ იმავე დღეს არაქსის ნაპირისაკენ გავწიეთ — აქამდე 50 ვერსია, ხოლო აქედან ნახიჩევანამდე<sup>10</sup>—25. ღამის პირველ საათზე ჩავედით ნახიჩევანში. აქ ვავათენეთ. მეორე დილას მზის ამოსვლისთანავე გავუღეძეთ გზას.

უზუნდუზამდე<sup>11</sup>—21 ვერსია, აქედან ყურაყამდე<sup>12</sup> — ორი. ყურაყი-  
დან ნურაშინამდე<sup>13</sup> — 10 და ნურაშინიდან სადარაქამდე<sup>14</sup> — 22; სა-  
დარაქიდან ღუპლუმდე<sup>15</sup> კი 18 ვერსი. ოთხშაბათს ღამის 2 საათზე  
როგორც იქნა მივალწიეთ ღუპლუმდე. ღვთის მადლით, გადავურჩით  
გზის ხიფათს. იმ დღეს 83 ვერსი (გზის ნახევარი) გაგვივლია. ღამე  
აქ გავატარეთ და გამთენიისას დავიძარი. ღულუდან 90 ვერსი გზა  
იყო გასავლელი. მზე ოდნავ ამოწვერილი იყო ყაჭარლუს<sup>16</sup> ფოსტას  
რომ მივადექით. აქედან ილა ჰამზალუმდე<sup>17</sup> 30 ვერსია, ხოლო ერევ-  
ნამდე — 12. შეუჩერებლივ განვაგრძეთ გზა. ელარამდე<sup>18</sup> — 15 ვერსი  
იყო გასავლელი, აქედან ფანდალამდე<sup>19</sup> — სრული 20. ღამის სამი  
საათი იყო, ადგილს რომ მივალწიეთ. დავისვენეთ; მთელი ღამის გან-  
მავლობაში მშვიდად გვეძინა. იმ დღეს თურმე 79 ვერსი გაგვევლო.  
ამოვიდა თუ არა მზე ფანდალიდან უხტისაკენ<sup>20</sup> გავწიეთ (აქამდე 12  
ვერსია). უხტიდან ელენოვკამდე<sup>21</sup> — 16 ვერსია, ხოლო სიმონოვკამ-  
დე<sup>22</sup>—21. სიმონოვკიდან დილიჯანამდე<sup>23</sup>—18. ღამის პირველ საათ-  
ზე დილიჯანს ჩავედით. გავჩერდით სასტუმროში. გავათენეთ იქ და  
ახანის<sup>24</sup> დროს, დილითვე გავუდექით გზას თარსეჯისაკენ<sup>25</sup>. დილიჯა-  
ნიდან თარსეჯამდე 15 ვერსია, თარსეჯიდან ქარავენსარაიმდე<sup>26</sup> —  
18, ქარავენსარაიდან უზუნთალამდე<sup>27</sup> 18-ია; უზუნთალადან აღსტა-  
ფამდე<sup>28</sup> — 22. აქ უკვე რკინიგზის ხაზი იწყება. მზის ჩასვლამდე 4  
საათი იყო, რკინიგზას რომ მივადექით. პირველი კლასის ბილეთი ავი-  
ღეთ. ჩავსხედით თუ არა მაშინვე დაიძრა მატარებელი. ცოტახანსაც  
არ გაუვლია, რომ სადგურ ბევილში<sup>29</sup> აღმოვჩნდით. მატარებელი მცირე  
ხანს შეჩერდა და სწრაფად განაგრძო სვლა. ახლა სადგურ სალუყა-  
ლას<sup>30</sup> ჩავედით. 10 წუთის შეჩერების შემდეგ კვლავ გზას გავუდექით.  
ცოტახანში სავაბალას<sup>31</sup> მივალწიეთ. აქედან ბევიქ ყისში<sup>32</sup> ჩავედით.  
მზის ჩასვლისას უკვე ნოყრე ბაზში<sup>33</sup> ვიყავით. გავიარეთ ნავთლუხი  
და გამოჩნდა თბილისის ჩირაღდნები. რაც უფრო ვუახლოვდებოდით  
უფრო მატულობდა და ბოლოს ისე გამრავლდა, რომ ასე იტყოდით ჩი-  
რაღდნებს შუა გაუკეთებიათ გასასვლელიო. ღამის პირველი საათი  
იყო თბილისში რომ ჩამოვედით.

ჩამოვედით თბილისში პარასკევ დღეს, 16 აგვისტოს. გავჩერდით  
სასტუმრო „როსიაში“<sup>34</sup>, ქალაქის დიდი ბულვარის<sup>35</sup>\* ახლოს რომ  
მდებარეობს. მე ჩემმა ძველმა ავადმყოფობამ გამიხსენა და თბილისში  
ყველაზე ცნობილ ექიმთან — ოსმანოვთან წავედი მიღებაზე. პიატი-

\* ბულვარი აგრანგულად ხეივანს, დიდ ქუჩას ნიშნავს.

ჭარხარში წასვლაზე ვეთათბირე, მაგრამ ექიმმა არ მიიჩნია საჭიროდ იქ გამგზავრება და თვითონ ითავა ჩემი განკურნვა. ასე აღმითქვა — ერთ თვეში სავსებით გაგანთავისუფლებ შენი სენისაგანო. მთელი 50 დღე ვცხოვრობდი თბილისში. ღვთის მადლით, 40 დღეში ყველაფერმა გამბარა და სავსებით მოვრჩი. დარჩენილი დღეები მოგზაურობასა და ცოდნის გამდიდრებას მოვანდომე, სამი დღე სასტუმრო „როსიაში“<sup>35</sup> ტიყავი, შემდეგ „ვერსალში“<sup>36</sup> გადავედი ვორონცოვის\* ძეგლის<sup>37</sup> პირდაპირ რომაა. რაც ამ ორმოცდაათი დღის განმავლობაში ჩოვინიყლე, ამას უკლებლივ მოგახსენებთ.

\* \* \*

კავკასია რუსეთის აზიური ნაწილის შემადგენლობაში შედის. ეს ნაწილი მოხავესებულია შავი ზღვისა და ხაზართა ზღვის<sup>38</sup> შორის. ჩრდილოეთით კავკასიას ესაზღვრება რუსეთის ევროპული ნაწილი, აღმოსავლეთით ხაზართა ზღვა, სამხრეთით — ძღვეამოსილი ირანი, რომლისგანაც მას ჰყოფს მდინარე არაქსი; დასავლეთით ანატოლია<sup>39</sup> და შავი ზღვა. ჩრდილოეთის საზღვარი მთლიანად მოცულია კავკასიის ქედის უმაღლესი მთებით. ამ მთების ქიმაღლე გეოგრაფიულ რუკებზე 400-დან 600 ზარემდე<sup>39</sup> აღნიშნული. მათ კალთებზე მუდმივი თოვლი და ყინული დევს. ჩრდილოეთ ნაწილში წელიწადის ყოველ დროს ცივა. სამხრეთი ვაკეა, მთლიანად დაბლობი; ჰავა ზომიერია. აქ ხარობს ისეთი მცენარეები, რომლებიც მხოლოდ ზომიერ ჰავაში იზრდება. ცნობილი მთა — არარატი (ნოეს წინანდელი სამყოფი) ირანის საზღვარია. ახლა მას იცნობენ აგრიდალის<sup>40</sup> სახელით. ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეა ამ მხარეში ყურ (მტკვარი), რომელიც არაქსთან შეერთების შემდეგ ხაზართა ზღვაში ჩაედინება. მცხოვრებთა რაოდენობა 7 მილიონამდეა აღნუსხული რუსეთის მოსახლეობის სტატისტიკური აღწერის დავთრებში. კავკასიის ეს ნაწილი ამჟამად რამდენიმე გუბერნიადა დაყოფილი. ამ გუბერნიათაგან პირველია საქართველო<sup>41</sup>. საგუბერნიო რეზიდენცია ქალაქი თბილისია, რომლის მოსახლეობის რაოდენობაა 250 ათასი კაცი. ეს ქალაქი წარმოადგენს მთე-

\* ვორონცოვი გვარია ცნობილი რუსი მთავარსარდლისა. ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში მან დიდგვა კავკასიის საზღვრები და დიდი გამარჯვებაც მოიპოვა. ეს ძეგლი მისი ხსოვნის საპატივემეულოდაა აღმართული თბილისში.

ოსმალეთის აზიურ ნაწილს ანატოლიას უწოდებენ. ანატოლიაზე მნიშვნეულ ენაზე ნიშნავს აღმოსავლეთს. იგი მართლაც საბერძნეთის აღმოსავლეთითაა მოხარული და ამიტომ ეწოდა ეს სახელიც. დღესაც ამ ბერძნული სახელით იცნობენ დღეს და მდებარეობს მტკვარის ახლოს. უფრო მეტი ინფორმაცია

ლი კავკასიის საგუბერნიო ცენტრს. რკინიგზა, რომელიც ბათუმიდან ბაქომდეა გადაჭიმული გადის თბილისზე.

მეორეა. იმერეთის გუბერნია. საგუბერნიო რეზიდენცია ქუთაისი. საპორტო ქალაქი ფოთიც ამ გუბერნიაში შედის.

მესამე აფხაზეთია, რომლის საგუბერნიო რეზიდენცია სოხუმ-ყალა<sup>42</sup> მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე.

მეოთხე არის შირვანი<sup>43</sup>, სარეზიდენციო ქალაქი — ბაქო. შაქი<sup>44</sup> და შემახა<sup>45</sup> ამ გუბერნიის ცნობილი ქალაქებია.

მეხუთე რუსეთის სომხეთია, რომლის ცენტრია ქალაქი ერევანი. განჯა, ნახიჩევანი, აღსტაფა და ქამრი<sup>46</sup> ამ გუბერნიის ცნობილი ქალაქებია. ამ გუბერნიებს გარდა ოსმალეთისა, და რუსეთის უკანასკნელი ომის შედეგად ბერლინში ჩატარებული კონგრესის<sup>47</sup> გადაწყვეტილებით ოსმალეთის აზიური ნაწილის მიწების გარკვეული რაოდენობა რუსეთს დარჩა. ასე მაგალითად, ცნობილი ქალაქები: ბათუმი, არდახანი<sup>48</sup> და ყარსი<sup>49</sup>. ეს მხარე დღეს კავკასიაში შემოდის.

მოსახლეობის შემადგენლობა კავკასიაში ძალზე ჭრელია. ამ სხვადასხვა წარმომავლობის ხალხში ყველაზე ღირსშესანიშნავია ქართველობა, რომელიც ლამაზი და სწორნაკვთიანი ტანის მქონე ხალხად არის ცნობილი. რიგით მეორეა სომხობა, რომელიც უმთავრესად ვაჭრობას მისდევს. ლეკები ძალიან მამაცები არიან და ძალზე მომრავლებულიც ამ ქვეყანაში. ამათ გარდა აქ ცხოვრობენ თათრები, თურქები. სპარსელები, აფხაზები, ჩერქეზები, ჩეჩნები. თბილისი, მართალია, რუსეთის ევროპული ნაწილის ქალაქებთან შედარებით დიდ მნიშვნელობის მქონე ქალაქი არ არის, მაგრამ მაინც აზიური ნაწილის პირველ ქალაქად ითვლება და კავკასიის მთელი გუბერნიების ცენტრს წარმოადგენს. ის თავიდანვე საქართველოს მეფეთა რეზიდენცია იყო. ქალაქის ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ქართველებია. სეფიანთა სულთნების ხელშეკრულების თანახმად თბილისში მუსლიმანებისა და შიიტების გარკვეული რაოდენობა დასახლდა. მას შემდეგ რაც საქართველოს რუსეთი დაეპატრონა თბილისში რუსებიც მომრავლდნენ. ამჟამად აქ მცხოვრები სომხები, რუსები და გერმანელები ქალაქის ადგილობრივ მოსახლეობას ჰარბობენ უკვე. ევროპელების გარდა აქ სხვადასხვა ჯურის ხალხებსაც შევხვდებით, როგორც არიან: პოლონელები, კაზაკები, ჩერქეზები და მალაკნები<sup>50</sup>.

თბილისიდან პეტერბურგამდე ორიათას ხუთასოთხმოცი ვერსია. მათ შორის ბევრი ქალაქი და დასახლებული პუნქტია: ვლადიკავკაზი<sup>51</sup>; შემდეგ მოდის ქალაქი გეორგიევსკი<sup>52</sup>, ალექსანდროვსკი<sup>53</sup> და ასტროპოლი<sup>54</sup>. აქედან ჩრდილო-დასავლეთით გზა მიდის ნოვოჩერკასკი-




საკენ და ჩრდილოეთით — ქალაქ ვლადიმირსკენ. შემდეგ არის ძველი სატახტო ქალაქი მოსკოვი. მოსკოვიდან პეტერბურგამდე გზა მიდის ჩრდილო დასავლეთით. ამას გარდა სხვა უზებიც აქვს.

\* \* \*

ქალაქ თბილისი გაშენებულია მდინარე ყურ-ის (მტკვრის) ორივე ნაპირზე. ეს მდინარე ქალაქის შუაგულში მოედინება. თბილისი მოგრძო ფორმისაა და ერთი კიდიდან მეორემდე დაახლოებით ირანული ერთი ფარსანგი<sup>55</sup> სიგრძისა. შუა ქალაქში რამდენიმე ბულვარია, სადაც მდებარეობს სახელმწიფო დაწესებულებათა უმრავლესობა, სამხედრო მუზეუმი<sup>56</sup>, ქალაქის მუზეუმი, სასტუმროები, მაღალი ეკლესიები, თეატრები, ცირკი, სპეციალური და სამხედრო მაღაზიები და კლუბი. მაღაზიები და შენობების უმრავლესობა ბულვარზე განათებულია ლამპიონებით. ქალაქში გაყვანილია ტრამვაის ერთი მთავარი ხაზი. დიდი თეატრის შენება დაიწყო რამდენიმე წლის წინ და უკვე დიდებული სანახავია, თუმცა დამთავრებული ჯერაც არაა. ამ შენობის პროექტი რუსმა ინჟინერმა პარიზის ნაციონალური თეატრის პირიდან გადაიღო. მშენებლობის ხარჯები ქალაქის მმართველობამ გაიღო და ამიტომ მისი შემოსავალიც ქალაქის მმართველობას ეკუთვნის<sup>57</sup> (დაახლოებით ოთხი ქარვარია<sup>58</sup> ირანული ფულით). არწრუნის<sup>59\*</sup> სახელობის მცირე თეატრიც<sup>60</sup> ამ ბულვარზე მდებარეობს. თეატრის შენობა შარშან დაზიანებულა ხანძრის დროს, მაგრამ წელს შესანიშნავად აღუდგენიათ. ლამპიონები ქუჩებში გამუდმებით ანთია. ეს თეატრი უპირატესად ქართულ ენაზე დგამდა სპექტაკლებს. თეატრის წინ იყო ქარვასლა<sup>61</sup>, სადაც მოთავსებული იყო საუკეთესო მაღაზიები და სახელმწიფო ბანკი. აქვე მდებარეობდა სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტთა გასაყიდი დიდ-დიდი მაღაზიები. ამავე უბანში იყო ერთი მაღაზია, რომელიც მომსახურებდას უწყვედა მოსახლეობას: აქაურ მოსამსახურე ქალებთან ხელშეკრულების დადება შეეძლო ყველას, ქალსა თუ ქალიშვილს, ვისაც სურდა ბინაზე მომსახურება. შეთანხმება გარკვეული წესით ხდებოდა. მსურველები თავის მისამართს უტოვებდნენ დაწესებულებას და დაწესებულება კი მათ უგზავნიდა მოსამსახურეს: მზარეული იქნებოდა ეს თუ ოფიციალტი—საჭი-

\* არწრუნი გვარია ცნობილი სომეხი მეცნიერისა, რომელიც ცხოვრობს თბილისში. უმსახურია მრავალ მაღალ თანამდებობაზე; ევროპის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების საპატიო წევრია. დააარსა გაზეთი „მშაქი“, თვითონვეა მისი ხელმძღვანელი. განათლება ევროპაში და ქარვასლაში ეკუთვნის.



როების მიხედვით. სამხედრო მუზეუმის უკან არის პატარა, ძალიან ლამაზი ბაღი, სადაც ეწყო სახალხო გართობები. ბაღში ბევრი ნაძვი და საროა. შიგ შუაგულში ორი ეკლესიაა გაშენებული. ერთი ძველთაგანვე იდგა იქ, მეორე კი განსვენებული იმპერატორის<sup>62</sup> კავკასიაში მოგზაურობამდე რამდენიმე წლით ადრე გაშენდა. ამ მეორე ეკლესიის აშენების ისტორია ასეთია: ნიპილისტა\* ერთმა ჯგუფმა რკინიგზის ლიანდაგი აპყარა. მათ თავისი ამოცანა შეასრულეს, თუმცა ლოკომოტივი რომ დაიძრა ადგილიდან და დაეჯახა მთავარ ვაგონებს, რამდენიმე შავი მუშა და იმპერატორის ამალის ზოგიერთი მგზავრი დაიღუპა. თვითონ იმპერატორს და მისი ოჯახის წევრებს არაფერი დაშავებიათ. ამ ფაქტის აღსანიშნავად იმპერატორმა ყოველ ქალაქში გააშენა ეკლესია მადლობის ნიშნად. ამ ბაღშიც ამასთან დაკავშირებით ააგო ეს ეკლესია.

იმპერატორმა გერმანელი ასულებისათვის ტირის მალაზია გახსნა აქ. ბაღი სეირნობისა და თავშექცევისათვის იყო გაშენებული. ტირში გასართობად ისროდნენ. ხასროლი ნიშნები ისე იყო განლაგებული, რომ მათ უკან თავსდებოდა ტკბილეულისაგან გამოძეწილი სხვადასხვა ფორმის საგნები. სასროლი ვაზნების ფასი ასედი იყო: 5 ცალი ერთი ირანული შაპი<sup>63</sup> ღირდა. ერთ გასროლას ერთი ვაზნა სჭირდებოდა. ბაღი მთელი დამე იყო განათებული და განუწყვეტლივ სეირნობდა ხალხი. ხეებს ქვეშ სკამებია განლაგებული, რათა ხალხმა მოიწვევოს.

კავკასიის ნაციონალური მუზეუმის<sup>64</sup> მდებარეობს ქალაქის ცენტრში დიდ ბულვარზე. მუზეუმში კავკასიური წარმოშობის ნივთებს გარდა უხვადაა წარმოდგენილი ირანის სიძველენიც და ბევრი სხვა რამ. შენობა სამ სართულიანია. პირველ სართულზე მოთავსებულია სხვადასხვა წარმოშობის მინერალური ქვები: ოქრო, ვერცხლი, იშვიათი მეტალები, გრანიტის\*\* მსგავსი ქვები, პორფირი, მარმარილო და მისთანანი; მათ შორის არის ორი უცნობი ქვა, რომელსაც მთვარის ვულკანებიდან\*\*\* ჩამოვარდნილად თვლიან. აქვეა გამოფენილი ზღვისა და ხმელეთის სხვადასხვა ჯურის ცხოველები და ფრინველები. ყველა ესენი ისეა ექსპონირებული, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში

\* ნიპილისტი ეწოდება რუსეთის თავისუფლებისათვის მებრძოლთა იმ ჯგუფს, რომელმაც დღევანდელი იმპერატორის ბაბუა მოკლა ხელყუმბართ. ეს ჯგუფი ახლაც არის რუსეთში. მათი წევრები შევიდნენ სოციალისტთა და ანარქისტთა რიგებში. ამ საზოგადოებების თავისუფლებისათვის ბრძოლის მიზნები და მეთოდები საგრძობლად განსხვავდება ნიპილისტთა მეთოდებისაგან.

\*\* ღრანიტი პირველი ქვაა, რომელსაც ირანში პორფირის უწოდებენ.

\*\*\* ეტლანი ცეცხლმფრქვეველ მთას ეწოდება.

მყოფ ცოცხალი ცხოველებისაგან ვერ განასხვავებს ადამიანი. ცხოველთა სახეობა, რომელიც მე იქ ვერ აღმოვაჩინე არის კროკოდლო\* და ჰიპოპოტამი\*\*, ფრინველთაგან კი — სამოთხის ფრინველი. გარდა აქ წარმოდგენილი, არსებული სახეობებისა, ცხოველებისა და ფრინველების მრავალრიცხოვანი ფიტულებისა, რომლებიც ძალზე ბუნებრივადაა გაკეთებული, ისე, რომ სავსებით ცოცხალის შთაბეჭდილებას ტოვებენ, აქ არის აგრეთვე გამოფენილი ჩონჩხი ერთი უძველესი ცხოველისა, რომელიც ადამიანის გაჩენამდე არსებობდა დედამიწაზე. სიდიდით დაახლოებით სამი აქლემის ოდენაა. ფიქრობენ, რომ სპილოსა და მარტორქის მსგავსი, რაღაც ცხოველი უნდა იყოს. აქვეა გამოფენილი თითქმის ყველა სახეობის სურათების მთელი სერია: ყვითელი და შავი აფრიკის ტყის ბინადართა და წითელი ამერიკის, ავსტრალიის\*\*\* და მონღოლური წარმოშობის ცხოველებისა.

მეორე სართულზე ექსპონირებულია სხვადასხვა ხალხის ხელოვნების ძეგლები, ნივთები, ჩაცმულობანი და სახლის მოწყობილობა. ორ-სამ შემთხვევაში ჩემთვის გაუგებარი დარჩა ზოგიერთი საგნის დანიშნულება. ძველი საომარი იარაღები, საჭურჭელი და მუსიკალური ინსტრუმენტები უხვადაა წარმოდგენილი. მათი უმრავლესობა

\* კროკოდლო არის წყლის ცხოველი, რომელსაც ასე ეძახიან ზოგიერთ ენაზე. იგი სუფთა ცხოველია; ზოგჯერ ნიანგსაც ეძახიან. კროკოდლო დიდი ზომის ვარეულ ცხოველია და მრავლად იპოვება მდინარე ნილოსში, ჰინდუსტანის ხუანხუში და სამხრეთ აფრიკის ამპონში. ამ მდინარეებში გვხვდება აგრეთვე დიდ ზომის სხვა ვარეული ცხოველებიც.

\*\* ჰიპოპოტამი დიდი ზომის წყლის ცხოველია რომელსაც არაბები წყლის ცხენს უწოდებენ, თუმცა ცხენს სრულიად არა ჰგავს. მდინარე ნილოსში და აფრიკის მდინარეებსა და ზღვებში ბევრი იცის.

\*\*\* ავსტრალია ოკეანის ერთ-ერთი ცნობილი კუნძულის სახელია: დასაწყისში ველური მხარე იყო. სადაც მხეცეები მჭინვარებდნენ. ახლა მთელი ავსტრალია ინგლისის კოლონიაა. ეს კუნძული მდებარეობს სამხრეთ აზიაში. მისი ტერიტორია 7 მილიონ 850 ათასი კვადრატული კილომეტრია — დაახლოებით ევროპის სამი მეოთხედია. ჩვენი წელთაღრიცხვით — 1012 წელს (მიჯრით 422) ერთმა მოგზაურმა სახელად ტასმანმა გემით მოგზაურობის დროს აღმოაჩინა ეს კუნძული. ევროპელებმა მალე ვაიკაფეს ვზა ავსტრალიაში. აქაური ძირითადი ნაწარმებია: ყავა, შაქრის ლერწამი, ბამბა და მისთანანი. მდინეულიდან მდიდარია: ოქროთი, ვერცხლით, ფოლადითა და რკინით. ამჟამად კუნძულს ძველი ცხოველებიდან უმეტესობა გადაშენებული და გადავეარებულა. რაც გადარჩა ისიც მიუდგომელ მთებებს კალთებს შეეფარა და იქ დაისადგურა. ინგლისი ავსტრალიაში ექვს ტომს არჩევს. ცნობილი ქალაქია სიდნეი, სადაც არის ორას ორმოცდაათი ათასი მცხოვრები. სიდიდით მეორე ქალაქია ნავთსადგური. მელბურნი, რომელიც ცნობილი სავაჭრო ცენტრია და სამი ათას კაცს იტევს.

ირანული წარმოშობისა გეგონებათ. ბევრი იყო აგრეთვე მოჭიქული ჭურჭელი, ძველი ირანული ნაკეთობანი. უმეტესი ნაწილი ამ ჭურჭლეულობისა რაფლე მოთალიკის\* ნამუშევარს წააგავდა. ესაა ირანში ძალზე ცნობილი და გავრცელებული ხელობა ჭურჭლისა: მოჭიქვა, მოჭედვა და ძველი ოქროსა და ვერცხლის მონახვეა. უცხოელისათვის ამით არა მთავრდება მოგზაურობა ამ მუზეუმში.

მესამე სართულზე უხვადაა გამოფენილი მოხატული ფარდები, რომლებზედაც გამოსახულია განსვენებულ მეფეთა და მათ ნაცვალთა პორტრეტები. აქვეა საქართველოს მმართველის სურათიც. რუსეთთან წლების მანძილზე მოდავე ლეკთა შეიხის\* ორლულიანი ზარბაზანი მოხვედრილა აქ. რამდენიმე ცალი ქვის ჭური ვნახე, რომელსაც ირანში ზარღუშტამდე მიცვალბულთა სამარხად იყენებდნენ. ჭურების ზედაპირზე ლურსმული წარწერები იკითხება, რომელიც შესრულებულია ძველი ირანულით. ჭურჭლის სხვადასხვა სახეობები თავმოყრილია მუზეუმის ერთ კუთხეში: ჩინური, ძველი ირანული, რუმის, ევროპული; ყველაფერი გულდასმით დავათვალიერე: მათ გარდა, რაც აქ ჩამოვთვალე კიდევ ბევრი რამ ვნახე, მაგრამ ყველა ეს ნივთი რომ დავსახელო, მუზეუმის დავთრის მთლიანად გადმოწერა დამჭირდება. ამიტომ ამითი ვკმაყოფილდები.

#### თბილისის სახალხოფიზო სამხედრო მუზეუმი

ეს მუზეუმი მდებარეობს დიდ ბულვარზე სახალხო ბაღის ბოლოში, შიგ ქალაქის ცენტრში. შენობა ერთსართულიანია. აქ შევროვილია საომარი საჭურველი, თოფები და ყუმბარები, რომლებიც ჩაიდლო ხელთ რუსის ჯარმა მტრებთან წარმოებული ბრძოლების დროს. ეს იარაღები განსაკუთრებული რიგითაა განლაგებული და ერთმანეთთან ჯაჭვებითაა გადაბმული. თითოეულ თოფს თავზე გაკეთებული აქვს მოოქრული სახელმწიფო ნიშანი — არწივი. თოფების მეტწილს ოსმალეთის სახელმწიფო ნიშანი აზის. შუა მუზეუმში ჩამოკიდებულია ბატალური სცენების ამსახველი სურათები, რომელთაც ქვეშ მიწერილი აქვთ მოკლე ანოტაციები. ესენი უმეტესად რუსის ჯარის სხვადასხვა ბრძოლების შესახებ მოგვითხრობენ. უხვადაა წარმოდგენილი სამხედრო დროშები, ოფიცერთა ხმლები და რიგითი ჯა-

\* რაფლე მოთალიკი მოჭიქვის ძველი ხელობაა. ოქროთი ავარაყებენ ჭურჭელს და ამ გზით აძლევენ მას ფერს. ახლა ეს ხელობა დიდხინის მივიწყებულია და ევროპის ხელოსნებს არ შეუძლიათ მისი აღდგენა.

\*\* იგულისხმება შამილი (მ. მ.).

რისკაცების საომარი იარაღები, რომელთა უმრავლესობა ოსმალური წარმოშობისაა — თუმცაღა ეს საკითხი ძველი დავის საგანია. უკანასკნელი ომის კვალი არა ჩანს ამ მუზეუმში. ირანული იარაღები ბევრი ვნახე. ამჯერად ამ მოკლე ცნობებით დაკმაყოფილდები.

#### ერთმანეთს მიუხედავად ორი ზოგონა და ჯუჯა ცოლ-ქმარი

მე თვითონ სულ რამდენიმე დღის ჩამოსული ვიყავი, როცა თბილისში ჯუჯა ცოლ-ქმარი და ერთმანეთს მიწებებულნი ორი ზოგონა ჩამოიყვანეს\*. განსაკუთრებული ინტერესით წავედი მათ სანახავადკაცი სამ ჩარექს<sup>65</sup> არ აღემატებოდა, ცოლი კი დაასლოებით ორი თით მძალა ჩანდა მასზე. ორივე ყრუ იყო. ქალი 27 წლისა ჩანდა, კაცი—37. წარმოშობით ცოლი მდაბიოთაგან იყო, ხოლო ქმარი კეთილშობილთა გვარისა. მიუხედავად პატარა ტანისა ორივე ძალიან გონიერი, ჭკვიანი და ფულისმოყვარულნი არიან. ერთი პირობა ბავშვები შესძენიათ; რამდენიმე დღის შემდეგ ისინი დახოცილან. ჯუჯა ცოლქმარი პატარა ეტლით პონის ჯიშის ცხენებით სეირნობდა ქუჩაში. მთელი სეირნობის ცერემონიალი და ეს ეტლი ძალიან თავშესაქცევი სანახავი იყო. ეს ორი ზოგონა ინდოეთში იყიდეს. დაიბადნენ თუ არა ბავშვები მამას გადაუწყვეტია მათი მოკვლა. მთავრობამ რომ შეუტყო განზრახვა, წინააღმდეგობა გაუწია. რამდენიმე ხნის შემდეგ მშობლებმა დიდ ფასში მიჰყიდეს ამ დაწესებულებას\*\*.

ბავშვები ერთმანეთს გვერდებით არიან შეწყებულნი. როცა ერთი ღებულობს საკვებს, მეორეც ნაყრდება. ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ ერთმანეთში გამორჩევა მათი შეუძლებელია. მოძრაობისას ერთმანეთს კისერზე შემოაჭლობენ ხოლმე ხელს. ყოველთვის ერთნაირი სურვილები აქვთ. თუ ერთი მოისურვებს რაიმეს, იმწამსვე მეორეც აპყვება. ერთად შივდებათ და ერთადვე ნაყრდებიან. ერთი თუ უქეიფოდაა, მეორეც ავად ხდება. ძილი და ღვიძილიც შეთანხმებული აქვთ. მაშინ ჩამოვარდება უთანხმოება თუ ერთს აძლევენ რაიმეს და მეორეს არა. ესა ხდება ერთ-ერთი მათგანის წუხილისა და ცუდად ყოფნის მიზეზი. ჯერ 8 წლისაც არ არიან და მიუხედავად მცირეწლოვანებისა შესანიშნავად იციან გერმანული, ინგლისური და ფრანგული ენები. მათი დედ-მამა ახლა ინდოეთში ცხოვრობს.

\* ივულისხმება სიამელი ტყუპები (მ. მ.).

\*\* ივულისხმება ცირკი (მ. მ.).

ორი წელი იქნება, რაც თბილისში მცხოვრებთა კომუნიკაციის გაადვილების მიზნით აშენდა ტელეფონის სააგენტო. ეს სააგენტო დიდი შენობის მესამე სართულზე მდებარეობს. მთელი ქალაქის სატელეფონო ხაზები ამ ცენტრშია თავმოყრილი. სახელმწიფო დაწესებულებები, სხვადასხვა პუნქტები, მაღაზიები, სასტუმროები და აბანოები დაქსელილია სატელეფონო ხაზებით. თითოეული აბონენტი ამ მომსახურებისათვის იხდის ყოველწლიურად 85 მანეთს. აპარატს დაიდგამენ ბინაზე და შეუძლიათ წასასვლელი გზის სიშორე მისი საშუალებით შეამოკლონ და ამგვარად ბინიდანვე მოაგვარონ საქმეთა უმრავლესობა. დავუშვათ, რომ რაიმე გადაუღებელი, სასწრაფო საქმე აქვს კაცს მოსაგვარებელი ანდა სამმართველოში მოსახსენებელი — ტელეფონის საშუალებით დაუყოვნებლივ დაუკავშირდება. წმირად როცა ტელეგრაფია აუცილებელი, ტელეფონის საშუალებით ლაპარაკობს ადამიანი ტელეგრაფში. — და ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ ამ აყალ-მყალისაგან, თითქოს ბაზარში იმყოფებით. ამქამად თბილისში ბევრ ბინაზეა გაყვანილი ტელეფონის ხაზი. ის პირი ვინც არაა გაერთიანებული ამ საზოგადოებაში ქუჩის ხაზს უკავშირდება პარდაპირ და ისე სარგებლობს. ეს დაწესებულება დღითი-დღე იზრდება.

თბილისის ყველა ცნობილი ქუჩა დაქსელილია ტრამვაის ხაზით. ამას ემატება სამი ათასი გასაქირავებელი მსუბუქი ეტლი, საგვარეულო ეტლები და კარეტები. ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეა აგრეთვე ლამაზ ბორბლებიანი ველოსიპედი\*, რომელიც ნივთების გადასაზიდვადც გამოდგება და სამგზავროდაც. ქუჩებში ბევრი დადის ველოსიპედით. ქალაქში ორი ფაბრიკა\*\* კარეტებისა და ეტლების დამამზადებელი<sup>66</sup>. გარდა იმისა, რომ მათ საკუთრივ თბილისში ჰყიდიან, ისინი საზღვარგარეთაც გააქვთ. ეს ფაბრიკა ირანთანაც აწარმოებს ვაჭრობას და გააქვს იქ თავისი პროდუქცია. ამ ნივთების დამამზადებელი ოსტატები უკვე აღარა ჰყავთ, ძველები მოხუცდნენ (60 წელს გადააბიჯეს) და საქმეც გაჩერებულია. ქალაქის მმართველობა ძალიან დიდ ყურადღებას აქცევს ფაბრიკების მოვლას, მათ მოწყობას და მოწეს-

\* ველოსიპედი რკინის ურკის სხეობაა, რომელიც ამ ბოლოხანებში იქნა გამოგონებული სამგზავროდ. ფეხით სამოძრავებელია, ძალიან სწრაფმავალია. შეიძლება ეწოდოს თვითმავალი ბორბლები.

\*\* ფაბრიკა იგივე ქარხანა, სახელოსნოა.

რიგებას. ხელოსნები და ოსტატები თავს იყრიან ამ შენობაში. აქ ყოველდღე კარგად ისვენებენ, სადილსა და ვახშამს მიირთმევენ და ღამაზ ტანსაცმელში ეწყობიან. ასე, მშვენიერად ცხოვრობენ და თავის ტემოზე ატარებენ დროს.

#### რუსის ჯარი

თბილისში ქვეით, საარტილერიო და კავალერიის ნაწილებში დაახლოებით ოციათასამდე ჯარისკაცი იქნება. ჯარის ადგილსამყოფელი არის ქალაქგარეთ მთის ძირას<sup>87</sup>. აქ არის მოთავსებული სპეციალური სახელმწიფო შენობა. ჯარის ოფიცრებს ამავე შენობაში აქვთ განკუთვნილი ბინა. ქალაქში არის რამდენიმე ყაზარმა და თავლა, არსენალი და სპეციალური ცეცხლმსროლელი და სხვა საომარი იარაღების ქარხანაც აქაა მოთავსებული. ჯარის უმეტესობას ქვეითი ნაწილი შეადგენს. დისციპლინა მკაცრია, სწარმოებს სამხედრო სწავლებას. ჯარი უზრუნველყოფილია პირველხარისხოვანი სურსათით. საომარი საჭურველი სრულიად ახალია, ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების შესაბამისი. ეს თოფები რუსეთმა საფრანგეთისაგან იყიდა. ოფიცრები დიდ პატივში არიან, თითოეულ მათგანს საკუთარი წიგნაკი აქვს — გარჩევა აუცილებელია, რომელი რომელია. უნტეროფიცერს წელზე ხმალი არტყია და ჯარის დანარჩენი ოფიცრები სხვა ჩინებს ფლობენ. მეკავშირეებს, აგრეთვე მესაზღვრეებს ხმალი არ არტყიათ წელზე. მადლობას კარგი სამსახურისათვის მათ სიტყვიერად უცხადებენ. სპეციალური დადგენილებები მხოლოდ ოფიცრებს ეხებათ. მე მოგახსენებთ მოკლედ. ოფიცერთაგან თუ ვინმემ დებოში ატეხა ანდა სცემა ვინმეს, მას დაუყოვნებლივ ანთავისუფლებენ, ჩამოართმევენ ჩინს და დასჯიან ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად. სასტიკი სასჯელის ღირსიც რომ იყოს იგი, მეორე ოფიცერს არ შეუძლია მისი დასჯა. კამათს ან ჩხუბის შემთხვევაში უნდა მიესალმონ ერთმანეთს ისე, როგორც ამას სამხედრო წესები მოითხოვს; წვიმის დროს და სიცხეში ოფიცრებს არა აქვთ უფლება იარონ ქოლგით. არც ის შეუძლიათ, რომ სადღესასწაულო ფორმითა და ხმლით გამოვიდნენ ქუჩაში ამ დროს.

ქვეითი ჯარის ნაწილის ყოველ პოლკს უფროსად ჰყავს მიჩენილი ერთი პოლკოვნიკი. ბრიგადის გენერლის განკარგულებაში სულ ცოტა სამი პოლკი — ანუ ათასი კაცი მაინცაა. ჩინებთს განაწილება ისეთია, როგორც ქვემოთ მოგახსენებთ: უნტეროფიცერი, პოდპორუჩიკი, პორუჩიკი, კაპიტანი, მაიორი, პოდპოლკოვნიკი, პოლკოვნიკი, გენერალ მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალადიუტანტი. თითოეული რუ-

სი რომელიც კი 21 წლისა შესრულდება, სახელმწიფო კანონის მიხედვით ჯარში მიდის. უნდა იმსახუროს იქ სამი წელი და ამის შემდეგ კიდევ 9 წელიწადი უნდა იყოს სამხედრო რეზერვის რიგებში. თუ ამ ვადას ომი დაემთხვა, გაწვეული საომარ მოქმედებაშია. სულ რევისტორებულია რუსეთის ჯარის 4 ქარვარი. საზღვაო ფლოტის მზადყოფნა ასეთია: 338 სამხედრო გემი, 28 მათგანი დაჯავშნულია. ამ გემებზე სულ 30 ათასი მეზღვაური ირიცხება. კავალერიის ნაწილში ბევრია ევროპის სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი. თბილისში კი მთლიანად კაზაკთა კავალერიაა. სხვა ნაწილები არაა.

ჯარის საბატო ნაწილს შეადგენს აგრეთვე ჟანდარმერია. ჟანდარმთა მწყობრი სპეციალურად იცავს საზოგადოებრივ წესრიგს და ამგვარად სახელმწიფოს დასაყრდენს შეადგენს. ამ წესების დარღვევის უფლება არავის არა აქვს. შემდეგი ნაწილია: ქვეითი და ცხენოსანი არტილერია. არტილერია მდიდარია მრავალრიცხოვანი და გამძლე ზარბაზნებით, ქვეითი პოლკებით, ინჟინრებით და ავანგარდით, რაც ნიშნავს შასურს\*. ცხენოსანთა პოლკები ჩამოჰგავს დრაქუნს\*\*. აქვე შედიან კაზაკები და ქურვასურები\*\*\*, ამათ შემდეგ არის პოლიცია\*\*\*\*. ბადრაგა ქუჩების მცველი და სახელმწიფო კანონების ოფიციალური შემსრულებელია. ყველაფერი განახლებულია ჯარში; იარაღის შესანახი ადგილი, თოფები და სხვა საჭურველი მთლიანად შეცვლილია. ყველაფერი ტექნიკის უკანასკნელ მიღწევებს შესაბამება.

ქვეითი ჯარისათვის ზამთრის ტანსაცმელია კურტაკი და შავი მაულის შარვალი. იარაღის ქარქაშის და ტანსაცმლის მანქანებს თეთრს ატარებენ. პალტოზე ზემოდან სამხედრო პლანშეტი აქვთ შემორტყმული წელზე. ზამთარში ჯარისკაცებს თავზე დასასური სპეციალური ბალიშები აქვთ. ოფიცრებს პალტოზე გარედან ხმალი და რევოლვერი ჰკიდიათ. რიგითი ჯარისკაცების იმ რაზმს, რომლებიც სომხებისგან არის დაკომპლექტებული, ჩვეულებრივ იარაღზე დამატებით წელზე ყამაც არტყაით.

\* შასური — მსუბუქად შეიარაღებული რიგითი ჯარისკაცია, რომელიც ომის წინა ხაზზე იმყოფება. ამაზე იტყვიან ავანგარდში არისო.

\*\* დრაქუნ—მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანია. ლექსიკონში განმარტებულია როგორც გველეშაბი. ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობას ამ სახის ცხენოსნები ჰყავთ.

\*\*\* ქურვასური ეწოდება ჯავშნიან და მიმედ შეიარაღებულ ცხენოსანს.

\*\*\*\* პოლის ასკერი არის ის, ვინც იცავს ქალაქის საზოგადოებრივ წესრიგს.



ცირკი გასართობი ადგილი არის. აქ სხვადასხვა ჯურის სანახაობებია: გაწვრთნილი ცხოველები და სხვა ბევრი უცხო გასართობი. რამდენიმე საღამოს ზედიზედ წავედი ამ სანახაობაზე და მოკლედ გაიმბობთ რაც ვნახე. ეს თეატრი მთლიანად ხისგან არის ნაშენები<sup>68</sup>. ირგვლივ გადაუხურავი ვალერეა მთელ სივრცეზე შემოვლებული და შიგნითაც დერეფნებია. თეატრს თავს ადგას დიდი გუმბათი. წინ, შუა ადგილს, პატარა მოედანი აქვს, რომლის სიგრძე 3—4 ზარე იქნება, ირგვლივ იარუსებია. ერთ მხარეს არის ხის აივანი, რომელიც ვანკუთენილია ორკესტრისათვის. მოედნის გარშემო პატარა ხის კედელია აღმართული ნახევარი ზარეს სიმაღლეზე. უკანა მხარეს ორი წყვილი სავარძელია პირველი და მეორე ნომრები. ამათ ზევით ლოჯია\*, ყოველ ლოჯიაში ოთხი სავარძელი დევს იმ პირთათვის, ვინც ოჯახით ან თავისიანებით ესტუმრება ცირკს. სამი-ოთხი ზარეს სავალზე ლოჯას აქვს გასასვლელი. აქედან მაყურებელთათვის სამი სხვა სართული იწყება. ეს იარუსები იაფია. ყველას შეუძლია მათი ბილეთის შეძენა. მაყურებელს თითქმის ფეხზე დგომა უწევს, კარგად რომ დაინახოს წარმოდგენა. ამ სართულიდან გასასვლელი მაყურებელთათვის პირდაპირ ქუჩაში გადის. იქაურობა მთლიანად გაზის ჩირაღდნებითაა განათებული. დერეფანში, გარეთა მხარეს, ჩაის სასმელი ოთახები და სასაუზმეებია მოთავსებული. წარმოდგენის დაწყებისას სცენაზე ლამაზი ასულები სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილები გამოდიან და იწყებენ ცეკვას. ამ ცერემონიის შემდეგ მსახიობები საგანგებოდ გაბმულ მავთულზე (რომელიც ცვლის თოქს) იწყებენ გასვლას და აკეთებენ ათასნაირ ილეთებს.

მათ შორის იყო ასეთი: ერთ-ერთი მათგანი ქულის წვერით დაატარებდა ლამაზ, მეტალის ბურთს. ბურთი სასწაულებრივი ძალით აღმოჩნდა ჰაერში, დაახლოებით 10 ზარეს სიმაღლეზე; შემდეგ ისევ დაეშვა ქულის წვერზე და შეჩერდა იქ. გარდა ამისა, კიდევ რამდენიმე ბურთი აავლო და ერთდროულად ამოძრავებდა ყველას. შემდეგ ჯამბაზები გამოვიდნენ სცენაზე. ისინი ძალიან სასაცილო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. ერთ-ერთი მათგანი, ხალხი რომ გაცეცინებინა, მუსიკოსების აივნიდან გადაეშვა ქვემოთ, დაახლოებით 5—6 ზარეს სიმაღლიდან და გაიშლართა იატაკზე. მათ მერე სცენაზე ოფიციალტი გოგონები გამოჩნდნენ, ასე, ათი ქალიშვილი იქნებოდა. ისინიც რა-

\* ლოჯას განსაკუთრებულ, სპეციალურ კაბინებს უწოდებენ თეატრში.

ღაც იღეთებს გვიჩვენებდნენ. ერთმა მათგანმა სალტო მორტალე გააკეთა, ისე მოხერხებულად, რომ არავის შეხებია. მერე მესაათის დუქანი გვიჩვენეს, სადაც ბევრი კედლის საათი იყო ჩამოკიდებული, რომელიც სარემონტოდ იყო მიტანილი მესაათესთან. მესაათემ ელვის სისწრაფით მთარგო გასაღები მათ, რამდენჯერმე გადაატრიალა იგი და თან ხელებით უცნაურ მოძრაობებს აკეთებდა. უეცრად საათი გადაიხსნა შუაზე. საათიდან დიდი ზომის უცნაური ნივთები და უთვალავო ჭრელ-ჭრელი ქაღალდები ამოიყარა.

ერთი ჯამბაზი ღორსა სწვრთნიდა სცენაზე — უბრძანებდა მას რაღაცას და ისიც ყველაფერს მორჩილად უსრულებდა. ჯამბაზმა გამოაცხადა, რომ იგი ღორს ძმად ეკუთვნის. შავი კი იმიტომ არის, რომ: „მე დღე დავიბადე და იგი — ღამეა“. შემდეგ სცენაზე გამოიყვანეს წაბლა ცხენი და მუსიკის ჰანგებზე ათასნაირად აცეკვებდნენ მას: წინა ფეხები ჰაერში ჰქონდა და მარტო უკანა ფეხებზე მოძრაობდა. მე ასეთი ღამაზი ცხენი ჩემს სიცოცხლეში არ მენახა; ზედ იჭდა თეთრებში გამოწყობილი მხედარი, რომელსაც თავზე დიდი ზომის სულთანი ეხურა, კარგად იყო ცხენს მორგებული და თავიც ღირსეულად ეჭირა. ჯერ ადგილზე აკეთებდა ღამაზ მოძრაობებს, შემდეგ ფეხით შედგა ცხენზე და ისე დააქენებდა. ამის შემდეგ სცენაზე შემოვიდა ორი ასული, ერთი 12 წლისა, ხოლო მეორე — 16-ისა, ორივე ცხენოსანი აქენებდა ცხენებს და ათასგვარ იღეთებს აკეთებინებდა მათ. ამ ასულების შემდეგ მოედანზე ორი ახალგაზრდა გამოვიდა. არ შეიძლება იმის აღწერა, რასაც ისინი აკეთებდნენ. ერთი მათგანი ააგდებდა ჰაერში ჩინურ სიხის 10 ზარეს სიმაღლეზე და თითის წვერით აკავებდა მას. ერთი თითით ააგდებდა ვერტიკალურად, მეორე ყმაწვილი კი რამდენიმე დანას ააგდებდა ჰაერში და ერთი ხელით ატრიალებდა ჰაერში ყველას ერთდროულად. ბოლოს ყველა ეს გასართობი, რომელიც ამ ასულებმა და ყმაწვილებმა წარმოადგინეს ცირკში, მოთავდა. ამის შემდეგ ხანდახან ნახევარი საათით ცეკვებს აჩვენებდნენ. ხშირად ეს „ნახევარი საათი“ შუაღამემდე გრძელდებოდა და მხოლოდ მერე სრულდებოდა მეჯლისი.

#### სათესი მანქანები

მოჯთაჰედის\*<sup>69</sup> ცნობილ უბანში სათესი მანქანების დამამზადებელი ქარხნებია მოთავსებული. აქვე მზადდება ეს მანქანები და აქვე იყიდება. უმეტესობა არის გუთნები და მისი ნაწილები, მწიწის სახნა-

\* მოჯთაჰედი, ალა მირ ფათჰი. შეილია განსვენებული ალა შირ იუსუფესა; თავრიზელია ირან-რუსეთის ომის დროს, როდესაც ირანმა კაპიტულაცია გამოა-

ვი, ველების მოსარწყავი და სხვა ახალ-ახალი მანქანები. ცხენებისა და რამდენიმე უღელი ხარების შებმის ნაცვლად მანქანებმა დაიკავეს ადგილი და შედარებით უფრო სწრაფ დროში კარვად და იოლად ასრულებენ საქმეს. სათესი მანქანის საშუალებით ერთ ცხენს შეუძლია რამდენიმე თანაბი<sup>70</sup> მიწა დათესოს ერთ საათში. მარცვლის საფქვავე ისეთი მანქანა ვნახე, რომელიც ორთქლის საშუალებით მუშაობს; ჩვეულებრივ, აქამდე წყლისა და ცხენების მეშვეობით ფქვავდნენ. ეს მანქანა დღეში რამდენიმე სარვარ<sup>71</sup> შალფუქიან<sup>72</sup> ბრინჯს არჩევს მარილის კრისტალებივით პატარა რომაა. აქვე უშვებენ ბამბის მანქანებსაც. წინათ ესენიც წყლისა და ცხენის მეშვეობით მუშაობდნენ და დღეში დაახლოებით ორას ბათმან<sup>73</sup> ბამბას ამუშავებდნენ და აცალკევებდნენ მარცვლებს. ახალი მანქანების სპეციფიკა ისაა, რომ დღეში 30 ფუთ ბამბას ამუშავებს. საღეწი მანქანა მოსავალს ორ დღეში ლეწავს. რასაც ეს ერთი მანქანა აკეთებს, იმას ორი ცხენის ძალა სჭირდებოდა. საღეწი მანქანა საათში რამდენიმე თანაბ მიწას მკის. ამ მანქანებს ბევრი ნაწილები აქვს, მათზე აქ აღარ ვილაპარაკებ. ამ მანქანებსა და ირანის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მაუზერის შაშხანასა და კაჟიან და პატრუქიან თოფებს შორის. ფასი ამ მანქანებისა ასეთია: შალთუქის მანქანა 30—60 თუმნამდე ღირს, საღეწი კი 150 თუმანი. ირანში ამ ტიპის მანქანები არც ისე გვჭირდება, ცხენის ძალითაც იოლად გავდივართ.

#### ა ბ ა ნ ო ბ ი

თბილისის აბანოებს ვერცერთი აბანო ვერ შეედრება. წყალი ამ აბანოებში ბუნებრივია და ცხელი. იმდენი სახის აბანოა, რომ სამ შენობაში ვერ თავსდება. ესენია: საერთო, შუა და სპეციალური. სპეციალური დაახლოებით ათიოდეა. მათ შორის ყველაზე კარგი და ლამაზია ის ნომრები, რომელიც ორბელიანის აბანოშია. აქ უპირატესად შექმლებული და მდიდარი ხალხი დადის. ორბელიანის აბანო მტკვრის სანაპიროზეა მოთავსებული. ფასადი ლამაზი აქვს, კრამიტით არის გა-

---

ცხადა. იგი წავიდა თაგრიზში. ზავის დადების შემდეგ, ამ სამარცხენო ფაქტის გამო რუსეთში გამოიქცა. დასახლდა თბილისში. გააშენა აქ ბაღი, რომელიც ახლაც მის სახელს ატარებს. აქ ბულგარიც, თურ და ძველიც, მრავალედი თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უბანია.

დახურული. შიგნით რომ შეხვალთ რამდენიმე საფეხურია ქვევით ჩასასვლელი. ეს საფეხურები ყველა შავთეთრი მარმარილოსია. ირგვლივ სხვა კიბეები, შეღებილი, კაკლის ხისაა. კიბეებზე ლამაზი და ძვირფასი ხალიჩებია დაგებული. კიბის დასასრულს იწყება გასასვლელი გრძელი დერეფანი. ამ დერეფანში სკამები სიგრძეზეა გაწყობილი. აქ ისვენებენ მომლოდინე კლიენტები. დერეფნის იატაკი თეთრი მარმარილოთია დაგებული. რამდენიმე აუზია მრავალფერი თევზებით. დერეფანში გამოდის ნომრების კარები. ორბელიანის აბანოში დაახლოებით 30 ნომერია. თითოეულ ნომერში არის ცალკე გასახდელი და ერთი აბაზანა. გასახდელში 4 სკამია დადგმული და ერთი სარკე, რომელიც მარმარილოს ჩარჩოშია ჩასმული. აქვე დივანზე დაგებულია სპეციალური ქვის ბალიში. გასახდელი ოთახი მარმარილოთია ნაგები; დიდი ფანჯარა აქვს, რომელიც გარეთ გადის, ქუჩის მხარეს. ევროპულ აბანოებში გასახდელი შიგნითაა. ამ აბანოში ორი მარმარილოს აუზია მოთავსებული. ეს აუზები დიდი ონკანების საშუალებით გამუდმებით აწვდის აუზს ცხელ წყალს. ბუნებრივი წყალი სხვა მხრიდან მოდის, ხოლო შემდეგ სხვა მიმართულებას იღებს. აქვე არის მოთავსებული ორი ტახტი, რომელიც მარმარილოსაგანაა გაკეთებული და დასაწოლადაა გაკეთებული. კედელზე რამდენიმე ონკანია, მათ შორის შხაპის პატარა მოძრავი ონკანიც. ამ ონკანს წურწურას ფორმა აქვს და სხვა ონკანების მსგავსად ისიც ნებისმიერად ცხელ წყალსაც უშვებს და ცივსაც. არის ერთი ონკანიც, რომლიდანაც მხოლოდ ცხელი წყალი მოდის. ამ წყალს, ისეთი ტემპერატურა აქვს, რომ სიმზურვალისაგან ოხშივარი ასდის. დანარჩენი ონკანებიდან წყალი შადრევანივით მოჩქევს.

აბანოს კედლებზე ბევრი სარკეებია ჩამოკიდებული; დიდი ფანჯრები აქვს. გასახდელში არის ელექტრონის ზარი მომსახურე პერსონალის გამოსაძახებლად. ორბელიანის აბანოს დირექციას თითოეული ნომრიდან საათში 2 თუმნამდე შემოსავალი აქვს.

#### ჯანმრთელობის ღაცვა და ვაჟინალობა ძ. თხილისში

ამ ქალაქში მსგავსად დანარჩენი ქალაქებისა სამოქალაქო ექიმები სამ სახეობად იყოფიან: სამხედრო, ჩვეულებრივი და სახალხო. ქალაქში ამ სამივე სახის მკურნალობა ტარდება. სოფლადაც აუცილებელია იგივე. არსებობს სამხედრო მკურნალობა. სამხედრო ექიმს,

გარდა ჯარისა და სამხედრო ჰოსპიტლისა, სხვაგან მუშაობის უფლება არა აქვს. აქ კი გარჩევა აღარაა ოფიცერია ავადმყოფი, თუ სხვა ჩინისა. ჯანმრთელობის დაცვის საქმეს გარდა მთავრობისა განაგებს სხვა დაწესებულებებიც; უშუალოდ მთავარი ექიმი, რომელსაც ჰყავს თავისი მოადგილე. ისინი გულმოდგინედ იცავენ პიგიენის წესებს ქალაქში. უნდა ვებრძოლოთ სიბინძურეს, როგორც ქუჩებში, ასევე ბინებში, ვინაიდან ესაა ავადმყოფობის გაჩენის ძირითადი მიზეზი. ყასბებმა არასოდეს არ უნდა შეინახონ ხორცი მეორე დღისთვის; ბაყლებმა ძველი ხილი არ უნდა მიჰყიდონ მოსახლეობას და ის გასაყიდი ხორცი, რომელზედაც არაა ექიმის ბეჭედი, უნდა აიკრძალოს. ერთი შემთხვევაც რომ იყოს ამ წესის დარღვევისა, სასტიკად უნდა დაისაჯოს დანაშაულის ჩამდენი.

წამლების გაყიდვა ორნაირად ხდება. არის რეცეპტებით გამოწერილი წამლები და ურეცეპტოდ გასაყიდი წამლები. რეცეპტებს ექიმები წერენ. ერთ აბ წამალსაც ვერ გასცემენ, თუ ექიმის გამოწერილი რეცეპტი არ წარუდგინენ. აფთიაქები საკმაოდ ლამაზად და სუფთად გამოიყურება. ყველა ამ ტიპის მაღაზიაში ძალიან ზაქმიანი, მცოდნე და ზრდილობიანი ხალხი მსახურობს. ერთი რეცეპტს იღებს, მეორე წამლის ფულს, მესამე წამლების გაცემაზე მუშაობს, სხვა კი რეგისტრაციაში ატარებს, გაყიდული წამლების ფულს ინახავს. უმეტესობა ამათთავან ქალებია. გარდა წამლებისა აფთიაქებში იყიდება სუნამო, ნელსაცხებლები და სპეციალური, არომატული საპნები.

რამდენიმე სამოქალაქო საავადმყოფოსა და სამხედრო ჰოსპიტლის გარდა, ამ ქალაქში არის კარგი ნაგებობები, გაშენებული ბაღები, ჯანმრთელობის სხვა დაწესებულებები; რამდენიმე მაღაზიაა, რომელიც ვაჭრობს ფიზიკის\* ხელსაწყოებით და ქიმიური პრეპარატებით. სხვა მაღაზიებში იყიდება ელექტრომანქანების ნაწილები და სხვადასხვა კომპასები\*\*, თერმომეტრი\*\*\*, ბარომეტრი, მიკროსკოპი, საინჟინრო იარაღები, ტონოგრაფი და სხვა. ამათგან ზოგიერთი ელექტრული იყო. ფასი რუსული 200 მანეთია, რომელიც ახლანდელ ირანულ ფულზე უდრის 120 თუმანს. ეს მანქანა, რომელიც დაახლოებით 204 ვოლტ-

\* ფიზიკა არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ფიზიკურ სხეულთა ძალებს. ეს მეცნიერება უძველესია. ბოლო ხანებში ძალზე გაფართოვდა მისი სფერო და დღეს იგი ყველა მეცნიერებაზე უფრო გამოყენებითია.

\*\* კომპასი პოლუსებისა და მხარეების (მიმართულებების) მაჩვენებელია.

\*\*\* თერმომეტრი სიცივისა და სიცხის გასაზომი ხელსაწყოა. ირანში სიცხის გასაზომად არის გამოყენებული.

ტრო ნათურას საჭიროებს მუშაობს ორთქლის, ცხენის ანდა წყლის ძალით. სადაც არის გამდინარე წყალი ორთქლისა და ცხენის ძალა საჭირო აღარაა. ბევრი სრულყოფილი მანქანა იყიდება აქ. სხვა დანარჩენი მანქანები, როგორცაა მაგალითისათვის: გალანტერეის, სამკერვალო, სასარაჯე, ელექტრულია მეტწილად. თუ სათითაოდ განვიხილავთ ამ მონაცემებს უპირატესობა ზემოთჩამოთვლილ საგნებს უნდა მიენიჭოს.

#### ს ა ს ტ უ მ რ ო მ ბ ი

ქალაქ თბილისში დაახლოებით ასამდე სხვადასხვა სახელწოდების პოტელია\*. ყველაზე უკეთესი სასტუმროა თბილისში „ლონდონი<sup>74</sup>“, რომელიც მდებარეობს მდინარე ქურ-ის (მტკვრის) ნაპირზე. მის პირდაპირ მდებარეობს უკვე ხსენებული ბაღია. ამ სასტუმროს შენობა ძალზე მაღალია. მომსახურე პერსონალი ბევრ ენას (ორ-სამს ნაინც) ფლობს; სხვა სასტუმროებთან შედარებით აქ ადგილების ფასიც უფრო მაღალია და კვებაც დიდადაა განსხვავებული. მეორე სასტუმროს სახელად „კავკასია“<sup>75</sup> ჰქვია. იგი მდებარეობს დიდ ბულვარზე. „კავკასია“ თბილისის პირველ სასტუმროთაგანია, ამიტომ სხვა სასტუმროებთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც აქვს, თუმცადა „ლონდონი“ მარცხ პირველ ნომრადაა აღიარებული. „ლონდონში“ ადგილები არასოდეს არაა თავისუფალი. სასტუმროს ფანჯრები და აივნები გადის დიდ ბულვარზე. ერთი დიდი დარბაზი სასადილოდაა განკუთვნილი; მაგიდებზე დაწყობილია გაზეთები სხვადასხვა ენებზე; პიანინო და დანარჩენი ავეჯი ამ სალონში\*\* შესანიშნავია. ზოგან ელექტრონათურებია ანთებული.

დარბაზის შუაგულში უზარმაზარი ქალია ჩამოკიდებული. დირექტორი და მომსახურე პერსონალი აქ ევროპელებია. „გრანდ ოტელ“<sup>76\*\*\*</sup> მდებარეობს „ლონდონის“ პირდაპირ. ძალიან კარგი და ლამაზი შენობაა ირანის სახელმწიფო საკონსულო. მისი საიმპერატორო აღმატებულების ევროპაში მესამე მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მირზა რეზა ხანმა<sup>77</sup>, დიდება მის სახელს, ქ. თბილისისა და კავკასიის გენერალურ კონსულად დანიშნა მუინ ალ უშურა. არცერთ ქალაქში არ სარგებლობს ირანის სახელმწიფო საკონსულო ისეთი პრივილეგიებით, როგორც ქალაქ თბილისში: სპეცილური შენობა აქვს განკუთვნილი, ბრწყინვალედ და დიდებულად მორთული ნივთებით და ავეჯით. ქვე-

\* პოტელი — ფრანგულად სასტუმროს ეწოდება.

\*\* სალონი დიდი დარბაზია სტუმრებისა და სხვა თავყრილობისათვის.

\*\*\* „გრანდ“ ფრანგულ ენაზე დიდს ნიშნავს.

შევრდომები ძალიან კმაყოფილები არიან; თვითონ კონსული დიდი პატივისცემით სარგებლობს ქალაქის მოსახლეობაში; რადგან განათლებული და ბევრის მნახველი ადამიანია. საკონსულო არის ქვეშევრდომების ცერემონიალური მიღებისა, პატივის აღმოჩენისა და დასვენების ადგილი. ირანის სახელმწიფო ქვეშევრდომთაგან პირველი ფენაა ვაჭრები, შემდეგ მოდის ხელოსნები, სხვა მუშაკები და დაქირავებული მუშა ხელი. ამათ გარდა არის ბევრი საეკვო პროფესიის ხალხი, ავანტურისტები და ქურდბაცაცები. ჯიბის ქურდებიც გროვდებიან ხოლმე აქ. ამ კატეგორიის ხალხის არსებობა ქალაქში ცუდი დროის ბრალია. მათი მომრავლების ძირითადი მიზეზი არის რუსეთის სახელმწიფო კანონების სიმსუბუქე. ამ კანონებით მუდმივი პატიმრობა ყველაზე დიდი სასჯელია. ასეთ ადამიანებს ამიტომ არასოდეს არა აქვთ ციხეში წასვლის შიში. ციხის სასჯელი ნაპეციალურად ხალხის აღსაზრდელად, გამოსასწორებლად და შემოღებული. ამგვარი დამნაშავეების დასჯა ჯობით და ფალაქით<sup>78</sup>, დასჯის უსასტიკესი ფიზიკური ზომებით არა ხდება. ამდენად მშვიდად შეუძლიათ იყვნენ. სადაც დასჯის სასტიკი ზომებია შემოღებული, ბოროტმოქმედნი სამშობლოდან იხვეწებიან.

#### საზოგადოებრივი კლუბი

ეს კლუბი სპეციალურად წარჩინებულთათვის არის გახსნილი. თბილისში ორი კლუბია\*: ერთი არის ოფიცრებისა, რუსი და ქართველი ვაჭრებისათვის, მეორე — სომეხი ვაჭრებისათვის. კლუბის შენობა შედგება რამდენიმე დიდი დარბაზისაგან. ერთი დარბაზი განკუთვნილია ვახშმისა და სხვა საჭიროებისათვის და სხვები — ბალის\* ცეკვებისათვის და თეატრისათვის. აქვე აგროვებენ ყველა ენაზე მასალებს გაზეთებისათვის—სამეცნიერო ახალ ამბებს. სამხედრო იარაღებსა და სავაჭრო ქონებას სანიმუშოდ იცავენ ამ კლუბში. ინახება გარკვეული რაოდენობა ძველი და ახალი მხატვრების ნამუშევრებისა, წიგნები, ფაბრიკა-ქარხნების ნაწარმი, ლატარეის ბილეთები. მეორე კლუბში ყომარის სპეციალური სახეობებია მოდაში. პატივცემული და კეთილშობილი მანდილოსნები დროის უმეტეს ნაწილს კლუბში ატარებენ. ავანტურისტებს იქ შესვლა არ შეუძლიათ. აქ იმართება ბალ-მასკარადი — ბალი ცეკვას ნიშნავს, ხოლო მასკა — ნიღაბს, რომელ-

\* კლუბი შეკრებილობისა და თავყრილობის ადგილია. ივულისხმება ძველი სათავად-აზნაურო კლუბი, რომელიც ახლანდელ ვრიბოფდოვის სახელობის თეატრში იყო მოთავსებული (შ. მ.).

\* ბალის ცეკვა — სამეჭლისო ცეკვა.

საც ქალბატონები იკეთებენ სახეზე. სამეჯლისო ცეკვები, სპეციალური ცეკვებია, რომელზეც მანდილოსნები სხვა ტანსაცმელს იცვამენ, სახეზე ნიღაბს იფარებენ და ისე მიდიან მეჯლისზე.

კლუბის შენობა აღმართულია დიდ ბულვარზე<sup>79</sup>. ერთმანეთის გვერდით მოთავსებული სამი დარბაზი აქვს. დარბაზები მთლიანად ძველი პროექტითაა ნაგები. ფანჯრები ერთფერო შუშისაა... ყველა დარბაზი სულ სარკისაა ირანულ ყაიდაზე. პირველი დარბაზი სუფრის გასაშლელად და დროსტარებისათვის არის განკუთვნილი. შუა დარბაზი სპეციალურად ცეკვებისათვის, გართობისა და საუბრისათვის არის განკუთვნილი. აქვეა ლამაზი ტელეფონი-ზარი. მუსიკოსთათვის სპეციალური ადგილი არის მიჩნეული. ყოველ ნახევარ საათში ორკესტრის ხელმძღვანელი დააჭერს ზარის ღილაკს ხელს და დასაჯრავად მიუწოდებს მათ. მუსიკოსები იწყებენ საცეკვაო მელოდიების შესრულებას. ერთი წყვილი, კაცი და ქალი, ხელიხელჩაკიდებული ცეკვავს. ნიღაბს იმიტომ იფარებენ რომ მეჯლისზე მონაწილე ქალბატონი ვერავინ იცნოს. ცეკვის დროს მიღებულია ზრდილობიანი შეკითხვები, გალანტურობა და მსუბუქი ფლირტი. მეჯლისზე დასწრების უფლება არა აქვს უპატივცემულო და უზრდელ ხალხს. სასტუმრო „ვერსალი“\*, მოჯთაპედის ქუჩის დასაწყისშია, ზუსტად ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ძველი ხიდი რომაა იქ; ორი წელია, რაც ამ ადგილას ყველაზე მაღალი სასტუმროს შენობა წამოიწყეს. შენობა სამსართულიანია და აქვს ერთი დიდი სალონი და 30 ნომერი. მე-17, მე-16 და მე-14 ნომრები დაკეტილი იყო. პირველ და მეორე ნომრებში იყვნენ ქართველი თავადები. მე-10—11 ნომრები დაკავებული ჰქონდათ რუსის გენერლებს, რომლებსაც ევალეობოდთ ყარსის ციხის გამაგრება; ამჟამად ამისთვის იყვნენ ჩამოსულნი თბილისში. დანარჩენი ნომრები იყო განკუთვნილი უცხო და მოგზაური სტუმრებისათვის. სასტუმროს მაცხოვრებელნი დროის უმეტესობას ამ სასტუმროს სალონში ცეკვას ანდომებენ. სასტუმროს მმართველი არის ვინმე მონირიანი, ირანული წარმოშობის სომეხი. ის გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს, რომ სტუმრებს კარგად მოემსახურონ და უზრუნველყოფს მათ ბინით. ამ სასტუმროში რამდენიმე დღე დავრჩი. სრულიად მოულოდნელად სამზარეულოდან ცეცხლი გაუჩნდა შენობას. ჩაინგრა მეორე სართულის კერი. ერთხანს საშინელი ცეცხლი მძვინვარებდა. სასტუმროს ბინადარი ნომრებიდან გამოვარდნენ და

\* ვერსალი შენობის სახელია პარიზში, რომელსაც საფრანგეთის მეფეებმა ჩაუყარეს საფუძველი. ამჟამად ეს შენობა მუზეუმად არის გადაქცეული. სწორედ მასთანაა დაკავშირებული ამ სასტუმროს სახელიც.



მიიფანტ-მოიფანტნენ. ხალხი შეგროვდა შენობის წინ. ატყდა ერთი ჰაი-პუი და ალიაქოთი. ამასობაში დარეკეს ტელეფონით და ამის შესახებ აცნობეს ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსს. 5 წუთში გაჩნდა ცეცხლის ჩამქრობი რაზმი. ათი წუთის განმავლობაში მეხანძრეებმა ჩააქრეს ცეცხლი. მეხანძრეთა რაზმი დაახლოებით ასი კაცისაგან შედგებოდა. ორი ცხენოსანი უძღვოდა წინ ამ რაზმს, უკან ორი მეხანძრე იყვებოდა საყვირს; ყველა ეტლი, ფაეტონი და ტრამვაი გაჩერდა. ამათი გავლის შემდეგ ისევ ამოძრავდა ტრანსპორტი. ცეცხლსაჭირობი საშუალებები იყო: ბალისტა, მილები, წყლის ბალისტა და კიბე. კიბეები იმისათვის მოიტანეს, რომ თუ ვინცობაა მისასვლელი გზა და საფეხურები დამწვარი იქნებოდა. მცხოვრებლები კიბის საშუალებით გამოეყვანათ შენობიდან. მეხანძრეთა რაზმის ჩაკმულობა ასეთია: სპილენძის მუზარადი, ჯუბა, შარვალი, ჩექმა და ნაბდის ხელთათმანი; გვერდზე პატარა ნაჯახი აქვთ ჩამოკიდებული და ხელში რკინის ნაჯახი უჭირავთ. ხანძრის ჩაქრობის დროს სწრაფი რეაქცია და ისეთი მოხერხებულობა აჩვენეს, რომ შეუძლებელია ამის კალმით აღწერა. დაახლოებით ათი თაბი დაზიანდა. უმეტესობა სასტუმროს მცხოვრებელთაგან გაიფანტა. იმ დამეს სასტუმროში ჩემს და კიდევ ორი-სამი კაცის გარდა არავინ დარჩა. პოლიციის სამმართველოს უფროსმა სასტუმროს დირექციას დაახლოებით ორიათასი თუმნის ზარალი დაუმატა. ხსენებული ზარალი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ხანძრის დროს ასურანსის\* კომპანიამ იღო თავს. ზარალი კიდევ იმითაც გაიზარდა, რომ ამ შემთხვევის გამო სასტუმროს მცხოვრებელთაგან ბევრი გაიქცა.

### რკინიგზის ხაზი ბათუმიდან ბაქომდე

ეს რკინიგზის ხაზი ფოთის ნავსადგურიდან იწყება, გაივლის ქუთაისის და ჩადის თბილისში. რუსეთმა ბათუმი რომ შეიერთა მთავრობამ რკინიგზის ხაზი გაიყვანა ბაქომდე<sup>80</sup>. როცა ბოლო ხაზი ბაქომდე მივიდა ნავთის გადაზიდვის დროს სარგებელი საგრძნობლად განსხვავებული აჩვენა. ეს გზა ჰაჯი თარხანის ზღვის<sup>81</sup> საშუალებით თურქესტანის რკინიგზას უერთდება და ირანის საქონელს აქედან გზავნის რეშტისაკენ. ყველა ის კომპანია, რომელიც სარგებლობს ამ გზით

\* ასურანსი ანუ კონსტიტუციონალური კომპანია; ირანს გარდა ამ ტიპის კომპანიები ბევრს ქვეყანაშია გავრცელებული. ყველას შეუძლია სახლი, ქონება, თავისი ნავაჭრი ჩააბაროს ასურანსის კომპანიას და უბედური შემთხვევის დროს არ დაზარალდება.

ახლა ეკუთვნის რუსეთის სახელმწიფოს. მას შემდეგ, რაც იგი რუსეთის კუთვნილება გახდა ქირის თანხა ძალიან გაიზარდა. ამ წელს რუსეთმა აქედან ყარსამდე და ყარსიდან ერევნამდე გაიყვანა ახალი სარკინიგზო ხაზი. ამ გზის ნახევარი ერთ წელიწადში სულ დამთავრდა. დამთავრების შემდეგ ირანელი მგზავრები დამშვიდებულნი იმგზავრებენ. ფოსტას აღარ გაუჭირდება ერევნიდან აღსტაფამდე ხალხის გამგზავრება. განსაკუთრებით ზამთარში ჭირდა. ბურანსა და თოვლში მგზავრებისათვის გზა დილიჯანიდან ერევნამდე იწმინდებოდა ზოლმე. ძირითადი მიზანი ამ გზის გაყვანის დროს სარგებელზე ზრუნვა არ იყო. თავი და თავი ლაშქრის გასვლის გაადვილება იყო. ამ რკინიგზით ჭარი საათში 7 ფარსანგს გაივლის; ვაგონები სამ წყებად არის დაყოფილი და ყოველ კუბეში 4 ადამიანი ეტევა. პირველი ნომერი განკუთვნილია საპატივცემულო ხალხისათვის. ბოლო ნომრები საერთოდ დაკეტილია იმიტომ, რომ აქ ლოკომოტივის\* გამოსვლის დროს ისინი ადგილზე უნდა დარჩნენ.

ამის შემდეგ არის მეორე და მესამე ნომერი. ლეიბები და ბალიშები პირველ ნომერში ხავერდისა არის და დანარჩენი მოწყობილობაც ძალზე სრულყოფილია. მეორე ნომერში მთლიანად მაუდისაა, მესამეში ხის საჯდომი ტახტებია. ბათუმიდან ყოველდღე მოდის ერთი შემადგენლობა, ხოლო მეორე კი ბაქოდან მოეშურება.

ეს ორი მატარებელი შუა გზაზე ხედება ერთმანეთს. მგზავრები, რომლებიც ფოსტის მატარებლით მგზავრობენ, არასოდეს არ ფერხდებიან. გზაში.

საბარგო ვაგონების წყება მუდმივად გზაზეა ჩამომდგარი. ნაკლებად ჩქარობენ და თითქმის სულ გაჩერებული არიან. ნავთის გადასაზიდად სპეციალური რკინის ჭერჭელია, რომელსაც მოძრავი ბორბლები აქვს. ეს ვაგონები სხვა ვაგონებთან შედარებით გაცილებით უფრო მძიმეა — დაახლოებით 50 ცისტერნაა ერთ შემადგენლობაში. ამათგან ერთია ლოკომოტივი, რომელიც ამოძრავებს მთელ შემადგენლობას. ჩვეულებრივი მატარებელი შედგება 12 ვაგონისაგან და ერთი სპეციალური ვაგონისაგან — პატიმრებისათვის. სადაც ყველა კუბე ამოხურულია. კუბეები შავია და რკინის ფანჯრები აქვს. ორივე მხარეს დვას დარაჯი. სულ ბოლოს კი მიბმულია მთავრობის ვაგონი.

ამ მიმართულების რკინისგზის ხაზზეა ქალაქები: ფოთი, ქუთაისი, ბათუმი, თბილისი, აღსტაფა, განჯა და ბაქო.

სომხეთის მოსახლეობა უკანასკნელი სტატისტიკის მიხედვით 5

\* ლოკომოტივი არის მანქანა, რომელიც მოძრაობს ორთქლის მეშვეობით.

ქარვარია. მთელ მსოფლიოში დაახლოებით ორ მილიონამდე სომეხია. ერთი ქარვარია ოსმალეთში, ამდენივე ირანში, მილიონ 50 ათასი რუსეთში და ერთი ქარვარი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია გაბნეული: ბევრი მათგანი შორეულ ადგილებშიც ცხოვრობს, როგორცაა მადაგასკარი, ავსტრალია და მისთანანი. მას შემდეგ, რაც შეწყდა სომეხთა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ისინი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიფანტნენ. თანახმად მათი ისტორიისა სომხეთის სახელმწიფოს დასაბამი იყო 2707 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე. სომხები ადამის შთამომავალთაგანნი, ნოეს შვილები არიან. ამის გამო „არმენი“ დაარქვეს, თუმცა თავის თავს „ჰაიეს“—უწოდებენ. ჰაიე — სომეხთა პირველი მეფის სახელია, რომლის დროსაც შეიქმნა დამოუკიდებელი სომხეთი — ერზერუმი, რუმი, ვანი და ერევანი. სომხეთი ბევრჯერ განიცდიდა შევიწროებას მეზობელი ქვეყნებისაგან, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ხოლმე დამოუკიდებლობას. მისი ტერიტორია ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნებიდან შედგებოდა. ჩვენი წელთაღრიცხვით 75 წელს სომხეთი დაიპყრო ირანმა. 428 წელს ირანი კვლავ იპყრობს სომხეთს<sup>82</sup> და კვლავ ირანის ბატონობა იწყება. იმ უძლურების გამო, რომელიც სასანელთა მეფობის პერიოდში სუფევდა ირანში სასანიდებმა ორჯერ დადეს ზავი სომხეთთან.

არაბთა ბატონობის ხანაში მეორე ხალიფას შემოსევის დროს არაბებმა დაანგრეს სომხეთი. შემდეგ სომხები ისევ გაიმართნენ წელში. 1385 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით (პიჯრის 792 წელს უდრის) ოსმალებმა დაიპყრეს სომხეთი და გარდა ამისა მისი მოსაზღვრე ირანიც. ლეონმა, სომეხთა უკანასკნელმა მეფემ, დახმარების სათხოვნელად, ევროპაში იმოგზაურა, ჩავიდა პარიზში, მაგრამ ამ დროს ევროპაში დიდი არეულობა და მღელვარება სუფევდა და ლეონმა ვერავითარი დახმარება ვერ მიიღო მათგან. ლეონი თავის ქვეყანაში უკან დაბრუნების ნებას ითხოვდა, მიიღო და სწორედ ამ დროს გარდაიცვალა პარიზში. რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლის შემდეგ, რუმინეთის, სერბიისა, ბოლგარეთის\* და ყარაბაღის\*\* სამეფოების ოსმალეთის სახელმწიფოდან გამოყოფის შემდეგ სომხეთმა კვლავ დაისახა მიზნად ძველი სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ამ ბრძოლაში მათ თავისი ქვეყნის პროგრესისათვის დიდი დაინტერესება და სიმამაცე გამოიჩინეს. დღეს დიდ

\* ბოლგარეთი არის სამეფო, რომელიც ბერლინის კონგრესის შემდეგ გამოეყო ოსმალეთს. მოსახლეობის რაოდენობა 5 მილიონია. დედაქალაქია სოფია.

\*\*ყარაბაღი პროვინციაა (სპეციალური ოლქია), რომელიც გამოეყო ოსმალეთს, თურქეთის ევროპული ნაწილის აღმოსავლეთით მდებარეობს. მოსახლეობის რაოდენობა უდრის 250 ათას კაცს.

წარმატებებს მიაღწია სომხეთმა მეცნიერების, მწერლობის და თავისი ქვეყნის ენისა და ისტორიის შესწავლის საქმეში. ყოველ ქალაქში გახსნილია ბავშვებისათვის სპეციალური სკოლები, რომლებიც სრულწესრიგშია მოყვანილი და რეგულარულია. სკოლებში ასწავლიან თითქმის ყველა მეცნიერებას. ახალგაზრდობას სკოლიდანვე უწერავენ სამშობლოს სიყვარულს. ამჟამად არც ერთი სომეხი არაა ისეთი ამ მისწრაფებებისა და მიზნების მონაწილე და თანაზიარი რომ არ იყოს. სომეხთა პოლიტიკური ცენტრი ძირითადად ორ ადგილას არის კონცენტრირებული. ერთია უჩ-ქალისია<sup>83\*</sup> და მეორე საბორტო ქალაქი — მარსელი. მართალია კიდევ ამერიკასა და ლონდონშიც აქვთ პოლიტიკური საზოგადოებები, მაგრამ ძირითადი საყრდენი მაინც ეს ორია. ზოგიერთი მიზნისათვის წინასწარი გეგმა აქვთ შემუშავებული. მათი უკანასკნელი სურვილი და მისწრაფებაა აიძულონ უცხო სახელმწიფოები, რომ სომხეთიც ისეთივე დამოუკიდებელი გახდეს, როგორც სხვა დანარჩენი ქვეყნებია. ამისათვის გარკვეული ნაბიჯები გადადგეს კიდევ. ოსმალეთი დასაწყისში იძულებული იყო სასტიკი ზომები მიეღო იმ სომეხი მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც მათ ტერიტორიაზე ცხოვრობდა; ბოლოს ეს ზომები განახორციელეს კიდევ. ამის შედეგი იყო მათი მოწყვეტა უცხო სახელმწიფოთაგან. სამშობლოს

\* უჩ-ქალისია (ენშიაძინი). მშვიდობა მისდა, დასახლებული ადგილია; სომხეთის სასულიერო პირთა ცენტრია; აქ იყო თავმოყრილი სომეხთა დიდ სასულიერო პირთა საბრძანებელი და ისინი რწმენის საქმეებს განაგებდნენ და მართავდნენ. სხვა ქალაქების თანამდებობის სასულიერო პირნი, რომლებიც იყვნენ რქ სხვადასხვა სასულიერო თანამდებობებზე, ქრისტიანი ბერები, ენშიაძინთან იყვნენ დაკავშირებული. აქ გაშენებულია ბევრი მაღალი და დიდებული ეკლესია; შესანიშნავ მუზეუმს ჩაეყარა საფუძველი. არაბთა და მონღოლთა მიერ გაძარცვის შემდეგ ძველი ნივთები გაიფანტა. აშენდა ნაციონალურ სასულიერო პირთა სახელობის ბიბლიოთეკა. ამ სასწავლებელში ისწავლებოდა თითქმის ყველა მეცნიერება. წიგნის თაროები ბევრი იყო ამ ბიბლიოთეკაში — ძველი წიგნებისაც და ახლებისაც. წინამძღვარნი ეკლესიის ნება-სურვილით ინიშნებიან, სიკვდილს შემთხვევაში იქვე იმარხებიან. მეთოდი მათი დანიშვნისა არა ჰკავს იესოს მიმდევართა სხვა შტოს, რომელსაც შეუძლია თავისი სურვილით დანიშნოს მოადგილე, თავისი ნაცვალნი. სიკვდილის შემთხვევაში აცნობებდნენ მთელ ერს; ყოველი მხრიდან მოდიოდნენ დასატირებლად ენშიაძინში. იქ დიდი თავყრილობა იყო. ამ ყრილობაზე ორ კაცს გამოჰყოფდნენ თავაკცებად (მოადგილეებად). ესენი იღებდნენ რუსეთის იმპერატორის დიპლომს. ეს მოადგილე მიდის იმ ადგილას, რომელსად ეწოდება ვალარსაპეტი; ვალარსაპეტი ძველად სომხეთის ცნობილი ქალაქი იყო. იგი დააარსა აშკანიანთა მეფის მითრიდატის ძმამ — ვალარსმა. ვალარსა სომხეთის მეფის მითრიდატის ვაჟი იყო. ვალარსაქაბადი ეწოდება სოფელს, რომელიც უჩ-ქალაქის ახლოს მდებარეობს. სომხურად ვალარსაპატ და ვალარსაქაბად წარმოითქმის ვალარსა ბადად. სიტყვის ეტიმოლოგიაა — ვალარსაპატ.

მოყვარული სომხები გაერთიანდნენ და ერთად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ. ემიგრანტს ისინი ფიდაის ეტყვიან — იდეისათვის მებრძოლს, პატრიოტს. ფიდაელთა ძირითადი განშტოება თავმოყრილია რუსეთში. ირანშიც მოიძებნება ნაწილი, ოსმალეთში კი განუწყვეტლივ ხდებოდა სომეხთა ემიგრაცია. ოსმალები უსისინებდნენ კიდევ მათ, იარაღსა და საჭურველს აძლევდნენ. ოსმალთა კანონი მათ სასტიკად სჯიდა. ერთხანს ემიგრანტთა უმრავლესობა ოსმალეთის პოლიციის ხელში აღმოჩნდა; ნაწილი გაიქცა. შარშან ბევრი გამოაშკარავეს და უკიდურესი ზომები მიიღეს მათ წინააღმდეგ. თითოეულმა მასგანმა დიდი დანაკლისი ხახა. ოსმალები მათ სასტიკად ექცეოდნენ, ბევრი დაარბიეს, ბევრი მოკლეს კიდევ. სომხურმა გაზეთმა მრავალჯის გამოაქვეყნა ეს ცნობები, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სასტიკი რეპრესიები ისევ გრძელდება.

უმეტესობა ჩიოდა მთავართან. გაზეთი „მშაკი“<sup>84</sup> წერდა: „ვიმედოვნებთ, რომ ამ ადამიანების მეშვეობით ერის საქმე სულ წინ წავა. ახლა მთავარი ისაა, რომ შევიარაღდეთ, მოთმინებთ და ერთსულოვნად ვიომოთ ერთი მიზნისათვის“. მთავარ იმედს ფიდაელთა მეთაურებზე ამყარებდნენ. ეს ხალხი სხვადასხვა პუნქტებში არალეგარულად მუშაობდა, მაგრამ მრავალრიცხოვანი უწყებების მეშვეობით მაინც აღმოაჩინეს. ფარდაზე დაქარგული იყო მათი სახელმწიფო ნიშანი: ორი ლომის სურათი, რომელიც ორი სომეხი ოსტატის ნახელავია. ოსმალეთს გარდა ოფიციალური გაზეთი თითქმის ყველა ქალაქში აქვთ. თბილისში სომხურ ენაზე ორი გაზეთი გამოდის, მათგან ყველაზე ცნობილია გაზეთი „მშაკი“, რომელიც უკვე 22 წელია არსებობს. არალეგალური სომხური გაზეთი გამოდის მარსელში\*. სამეცნიერო წერილების უმრავლესობა, რომლებიც ევროპულ ყურნალ-გაზეთებში ქვეყნდება ითარგმნება სომხურად. განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას უპირველესად შეიარაღება-მომარაგების საკითხებზე. თუმცაღა მე სომხური განათლება არა მაქვს, მაგრამ ზოგი რამ მათი ისტორიიდან წამიკითხავს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ისტორიულ საკითხებში სომხებს ახასიათებს უკიდურესი ტენდენციურობა, იმ ზომამდე, რომ იმასაც ამტკიცებენ ნოე სომხურ ენაზე მეტყველებდაო. სომხეთი უძველესი ქვეყანა იყო და სხვა ქვეყნების უმრავლესობა ხშირად მათ მოხარკეებად ითვლებოდა. ნუმისმატურ კატალოგში მე მინახავს ერთი მონეტა, რომელსაც ერთ მხარეს ჰქონდა სომხური წარწერა, ხოლო მეორეზე —

\*მარსელი არის საფრანგეთის ცნობილი საპორტო ქალაქი, რომელიც მდებარეობს თეთრი ზღვის პირას.

სპარსული. სპარსული წარწერა გვამცნობდა ქაიხოსრო იბნ ქეიქაუს-ის<sup>86</sup> სახელს. ეს წიგნი მოგვითხრობდა იმ დროის რამდენიმე ქალაქის შესახებ, რომელთაც ერთდროულად ირანიც განაგებდა და სომხეთიც. სწორედ ამის გამო იყო გამოხატული მონეტების ეს წყება. მე ამ საინტერესო ამბავზე იმიტომ შევაჩერე ჩემი ყურადღება, რომ ფეოდალთა და სხვა წარჩინებულ ხალხთა ისტორია ხშირად იხსენიებს ქაიხოსროს სახელს. ეს თანამედროვე წარწერა იმ დროისათვის დამახასიათებელი წარწერა არაა. მაშინ გავრცელებული იყო ლურსმული დამწერლობა; რომელიც ახლა ძირითადად მოკრილ ფულზე, ვერცხლით ნაჭედ ნივთებზე და ტვიფრულ ხეზე გვხვდება. ცხადია, განსაკუთრებით საინტერესოა ის მონეტა რომელიც, ჩემი აზრით, ისპაჰანში უნდა იყოს აღმოჩენილი. ეს ფული და სხვა ძვირფასი ნივთები განკუთვნილი იყო გასაყიდად; შესაძლოა სომხეთიდან ისპაანის ჯულფაში მოხვდა და აქედან ამ წიგნის ავტორს ჩაუვარდა ხელთ. ხოლო მათი მეფის შესახებ რაც ისტორიიდან არის ცნობილი ამ საკითხთან დაკავშირებით, ზუსტად ის არის გადმოცემული.

აშქანელი მეფეები არშაკუნიანთა<sup>87</sup> დინასტიას ეკუთვნოდნენ. ეს დინასტია განაგებდა სომხეთს. მათი სახელმწიფოს პირველი მმართველები სწორედ აშქანიანები იყვნენ. სალაპარაკო ენა იყო ზენდი<sup>88</sup>. ამ თავდაპირველმა ენამ, რომელზედაც ნოე ლაპარაკობდა, მიაღწია სომხეთს. ამბობენ, ნოეს კიდობანი არარატის მთაზე დაევანაო, ხოლო შემდეგ ნახიჩევანს მიაღწია და იქ შეჩერდაო. ნახიჩევანი სომხურად მოლაპარაკე პირველი ქალაქია. მსოფლიო ისტორიის მიხედვით ეს ამბავი საყოველთაოდ ცნობილი შეცდომაა.

ნოე ჯუდის<sup>89</sup> მთაზე დაეშვა, შემდეგ დასავლეთით გადაიწია, დაარსა პირველი დასახლება; სახელად ნახიჩევანი (ზენდურადაც ასევეა). კავკასიის ქალაქების უმრავლესობაში ამ სიტყვის მეორე ნაწილი ხშირად გვხვდება. მაგალითად: ნახიჩევანი, ერევანი, შირვანი; ვანი ზენდურად მსგავსს, დარს ნიშნავს. შეიძლება მემატიაზე ხსენებულ ენას (ზენდურს) ვარაუდობდა, ის ხომ განსაკუთრებით კარგად იცოდნენ.

მათი ძველი წარწერები უძველესი ლურსმული დამწერლობისაა. ის დამწერლობა კი, რომელიც ახლაა ხმარებაში, იმათ არა ჰგავს, ვსწინამდებარე. შეიმუშავეს.

იმ დღეებში, მე რომ თბილისში ვიყავი, დედაქალაქში მეფის ნაცვალის<sup>90</sup> ჩამოვიდა ძველის გასაცლილებლად<sup>91</sup> და ახალი იმპერატორის მისასალმებლად<sup>92</sup>. მაგრამ ფარული მიზანი ამ მოგზაურობისა დახმარების თხოვნა იყო, ოფიციალური საბაბი კი ახალი იმპერატორის

მისალმება და, წესისამებრ, ადრესის წაკითხვა. ბერლინის ხელშეკრულების შესაბამისად 61-ე პარაგრაფის მიხედვით, რომელიც სომხეთის საქმეების მოწესრიგებას ეხება და ამ საკითხის მოსაგვარებლად რეფორმების ჩატარებასა და მშვიდობის დაცვას, მათ ეკისრებათ უშიშროების უზრუნველყოფა და ძარცვისაგან ხალხის დაზღვევა. ეს პუნქტები უნდა განხორციელდეს პრაქტიკულად, სიტყვით და არა საქმით. ამბობენ, რომ ხსენებულ ქვეყანაში გაიგზავნა ასიათასი კაცი სომხეთა გასაყლელად, ნაცვლად მათი გაყლეტისა არეულობის მოთავე სომხებიც კი გაათავისუფლეს და არავინ არ მოუკლავთ.

მეფის ნაცვალი თავის რეზიდენციაში იმყოფებოდა და ჩვენი შენობის წინ აივანზე იყო გამოსული. მეფის ამაღამ ხალხის წინ ჩაიარა. ადგილობრივი მთავრობიდან არავინ დასწრებია ამ ცერემონიას. მხოლოდ სომეხი მოსახლეობა შეხვდა იმპერატორს დიდი პატივითა და სიყვარულით. იმპერატორის ჩამოსვლის ამბავი მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო. უამრავი ხალხი გამოეფინა ქუჩებში. მეფე დაახლოებით 70 წლისაა, კკვიანი და გონიერი სახე აქვს. იმპერატორის უკან იდგა ორი კაცი, შათერი (მეფის ამაღის სავალდებულო წევრი მისი მოგზაურობის დროს) გახევებული სახეებით. იმ დამეს სომხურ ეკლესიებში საგანგებოდ დაანთეს ჩირაღდნები, იყო დიდი ილუმინაციებიც. განსვენებული იმპერატორის, დიდი მთავრის<sup>93</sup> კავკასიაში მმართველობის პერიოდი ძალზე საამო და ტკბილად მოსაგონარი დარჩა სომხებისათვის. ამბობენ, რომ იგი დაჰპირდა მათ იმგვარივე ტიპის სამეფოს შექმნას, როგორცაა ბულგარეთი ანდა ფრანგული სამეფოს სავგარეულოები: „თქვენი მმართველობა სომხეთში იქნება და საფრანგეთსაც გაჩვენებთ“-ო თქვა მან. ამ დაპირების თანახმად დიდმა მთავარმა სომხეთი გამოჰყო კავკასიიდან. თუმცაღა ამით სომხების მდგომარეობა უკეთესი არ გამხდარა. სომხების პრობლემა მე ზედმიწევნით გამოვიკვლიე და რამდენადაც მე ვიცი სომხეთმა თავისუფლება მაინც ვერ მოიპოვა.

თბილისი ქართულ ენაზე ნიშნავს თბილ წყალს. ეს ზახელი ქალაქს აქ არსებული ბუნებრივი ცხელი წყლების გამო უწოდეს. ცნობილია, რომ წინათ თბილისი იყო საქართველოს მეფეთა რეზიდენცია — სატახტო ქალაქი. დაარსებულია იგი 356 წელს ჩვენი წელთაღრიცხვით. 650 წელს საქართველოს დედაქალაქი ბიზანტიელებმა დაიპყრეს. შემდეგ გურჯისტანი ისევე, როგორც აზიის სხვა ქვეყნები არაბთა მფლობელობაში აღმოჩნდა; მერე იგი ჩინგიზ-ხანის დროს მონღოლებმა დაიპყრეს. ქართველებმა შემდეგ თანდათან დაიბრუნეს დამოუკიდებლობა. ბოლოს იგი ირანმა და ბიზანტიამ გაინაწილა ერთმანეთში. 1783

წელს ჩვენი წელთაღრიცხვით, რომელიც ჰიჯრის 1200 წელს შეესაბამება, ერეკლე II დადო ხელშეკრულება<sup>94</sup> რუსეთთან, რომლის თანახმადაც რუსეთს ევალებოდა საქართველოს პროტექტორატი. ერეკლე რუსეთისაგან დახმარებას, ჯარს, თხოულობდა; მოგვიანებით რუსეთმა გამოგზავნა კიდევ დასახმარებლად ჯარი. [სპარსელებმა] დაახლოებით 15 ათასი კაცი და ქალი წაასხეს ტყვედ ირანში. გიორგი მე-13 ამ ბრძოლის შემდეგ მთელი სამეფო რუსეთს ჩააბარა.

მონღოლების შემოსევამდე თბილისი ძალზე მჭიდროდ დასახლებული ქალაქი იყო. ქალაქში ყველა ხელობა იყო განვითარებული. ქალაქი გაშენებულია მთებს შორის; დასავლეთიდან მოედინება მდინარე. სიძველის კვალი ატყვია ძველ ციხე-სიმაგრეებს, რომლებიც მთის კალთებზე მდებარეობს. ერთი მთის ძირას<sup>95</sup> ეკლესიაა გაშენებული. იქვეა საფლავი ცნობილი შეიხ სენანის<sup>96</sup>. ეს საფლავი მუსლიმანთათვის და ქრისტიანთათვის ზიარების ადგილია. შეიხ სენანის საფლავს ახლაც პატივს სცემს ხალხი და წმინდა ადგილად რაცნს მას. არის აქვე მეჩეთი, რომელიც შაჰ-აბასს აუშენებია. საშენი მასალა მდინარის პირიდან ამოუტანინებია შაჰს. მდინარეზე ჯერ ერთი ხიდი იყო<sup>97</sup>, ახლა 4-ია, და ისიც რკინის; მდინარეზე რომ იყო გადებული, ის შეუკეთებია.

თბილისში რუსეთიდან ჩამოვიდა გენერალი ერმოლოვი<sup>98</sup>, რომელიც მეფის ნაცვალი იყო საქართველოში. თბილისს საფუძველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩაეყარა .1184—1212 წლებში თბილისი ძალზე ცნობილი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი იყო. თბილისამდე ქართველ მეფეთა რეზიდენცია იყო ქ. ქუთაისი. თბილისი ჰავის მხრივ თბილი ქვეყანაა, თუმცაღა თბილი ქვეყნების კულტურები აქ არა ხარობს. ზაფხული თბილი ჰავის შესაბამისად ძალიან ცხელია, ზამთარი კი ძალიან კარგი და სასიამოვნო. ხალხი ზამთარში საამურად და მხიარულად ატარებს დროს. ქართველი ხალხი, საზოგადოდ, მშვიდობის მოყვარეობითა და სიმამაცით არის განთქმული. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თათრებთან და სპარსელებთან წარმოებულ ბრძოლებში დიდ გამირობასა და ვაჟკაცობას იჩენდნენ; რუსეთ-ოსმალეთის ომში გამარჯვება ქართველმა მხედრებმა მოიპოვეს, უმეტესი მათგანი მოხალისედაც კი წავიდა ომში. ახლანდელი თავადები სულ შეიარაღებული არიან, (ქამარ-ხანჯლიანი კბები აცვიათ), ტკბებიან ცხოვრებით და დროს თავის გემოზე ატარებენ; დაუფიქრებლად ფანტავენ ქონებას და არცა დარდობენ ამაზე; არ ეშინიათ მისი დაკარგვისა. რასაც ქართველები ფანტავენ. იმას სომხები იძენენ.

ქართველები კულტურულ ცხოვრებაშიც იჩენენ ინიციატივას, ავროვებენ მასალებს ლექსიკონისათვის, ქართველდ ერის ისტორიისათვ-



ის; აარსებენ გაზეთებს ქართულ ენაზე. დიდ გავლენას ახდენს მათზე სომხების მანერა, მათი დღევანდელი ცხოვრების ყოფითი ამბები, მათი მისწრაფებები, ჩვევები და ადათები. ქართველებში გზას იკაფავს აგრეთვე რუსეთის ყოფაც, მაგრამ ძირითადი მათთვის მაინც არის ძველი ტრადიციული ყოფა, საკუთარი წესი ცხოვრებისა, რომელიც ახლაც არ ვაუგდიათ ხელიდან. ჩაცმულობა ძველი აქვთ, ქალებიც კი ტრადიციულ სამოსს ატარებენ. ამიტომ სადაც არ უნდა წავიდნენ ისინი, ყველა გამოარჩევს ქართველს. ერთ ქართველს რომ გადაუღოთ ფოტოსურათი, ამით მთელ ქართველობაზე შეიძლება შეექმნას კაცს წარმოდგენა, მთელი ერის სურათი დაიხატება. უნდა მოგახსენოთ, რომ ისპაანთან ერთი სოფელია, სადაც მთლიანად ქართველები<sup>99</sup> ცხოვრობენ. მათ ახლა სრულიად დავიწყებული აქვთ საკუთარი ენა. ახსოვთ ის, რომ საქართველოდან არიან გადმოხვეწილნი. კვლავ ფიქრობენ, რომ მათ მდგომარეობას სპეციალური უწყებები გამოიკვლევვენ. ამ ქართველთა ტომიდან ბევრია ჩაბმული სახელმწიფოებრივ საქმიანობაში. თვითონ გუბერნატორიც ამ ქართველთა ტომისაა. რუსის ჯარში ბევრი ცნობილი ქართველი გენერალია.

ამჟამად თბილისში სხვადასხვა ტიპის ხალხი ცხოვრობს. წმინდა ქართული ქალაქი ქუთაისია, რომლის ძირითადი მცხოვრებნი ქართველები არიან. ქუთაისი ძალიან კარგი ქალაქია. წინათ ეს იყო ქართველთა სახელმწიფო ცენტრი. ფოთი, ბათუმი, არტაანი, ყარსი ქართული მსხვილი ქალაქებია..

ნათლისღება თბილისში ტარდება, როგორც ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დღესასწაული. ორთაღოქსალური შტო, რომელიც ფაქტიურად რუსეთის ოფიციალური რელიგია არის, დიდის ზეიმით იხდის რუსეთის ყველა ქალაქში ამ რელიგიურ დღესასწაულს რელიგიური წესებისა და ადათების დაცვით. ამ დღეს ყველა მონაწილე თავს იყრის თბილისში. ეს ზეიმი დაახლოებით რამდენიმე დღეს გრძელდება თავისი ცერემონიალით. ნათლისღების ადგილს რთავენ და ალამაზებენ. მდინარის პირას ბევრ ლამაზ, ხისგან ნაკეთებ ოთახს გაამზადებენ; ამავე მხარენ მორთულია ხეივანი, რომელიც მთელ სიგრძეზე დროშებით არის გაწყობილი ხიდის თავიდან ბოლომდე. ხიდის ბოლოს ხის დარბაზი მორთულია სხვადასხვა ფერის როგორც სახელმწიფო, ისე საეკლესიო დროშებით. დანიშნულ დღეს თითქმის მთელი საქართველოს მოსახლეობა გამოდის ქუჩებში. იმდენი ხალხი იყრის თავს, რომ მოძრაობა შეუძლებელი ხდება. საცხოვრებელი ბინებიდან ნათლისღების ადგილი არა ჩანს და უმეტესი ნაწილი მოსახლეობისა აივანზე გადის. პოლიციის სამმართველო კი კრძალავს

აივანზე გასვლას, რადგან სანახაობის მსურველები სხდებიან იქ. ვინაიდან ბევრი ხალხის დაჯდომამ შეიძლება გამოიწვიოს აივნების გადატვირთვა, მათი ჩატეხვა და ხალხის დაზიანება, ამიტომ აკრძალულია ზათზე გასვლა. იმ აივნებზე კი, რომლებიც ინჟინრებმა დაათვალიერეს და საშიშროებას აღარ წარმოადგენს ამ მხრივ (საექვო აივნები გაამაგრეს კიდევ) გასვლა ნებადართულია.

დიდის გასაჭირით გამოვედი ბინიდან და გავეშურე მდინარის პირას და დავინახე, რომ ხიდზე, ქუჩის ორივე მხარეს, შენობები და შენობის სახურავები ხალხით იყო გაქვედილი. უმრავლესობა იყო საპატრო, სოლიდური ხალხი—ბატონები და ქალბატონები. ვინც ამ უბნის მცხოვრებნი არ იყვნენ ისინი ისხდნენ ეტლებში, რომლებიც ამ ადგილის პირდაპირ იდგა და შიგნიდან უმზერდნენ ამ სანახაობას. ამასობაში გაისმა მუსიკის და საყვირის ხმა. ჯარის დაახლოებით 15 პოლკი გვეშურა ეკლესიისაკენ ჯვრის წამოსაღებად ბაირალბითა და სხვა საომარი საჭურველით აღჭურვილი. შუადღე იქნებოდა ჯვარი რომ წამოსვენეს მდინარისაკენ: წინ მოდიოდა კაზაკთა ცხენოსანი რაზმი, უანდარმთა ჯგუფი, შემდეგ კავკასიის სარდალი, მერე დანარჩენი ოფიცრები და მათ შემდეგ ეკლესიის მეთაური საეკლესიო ტანსაცმელში, ეკლესიის დროშებითა და ჯვრით ხელში. კათალიკოსმა, რომელსაც უკან მოსდევდა დროშების წინ მიმავალი 100 ბავუვი საეკლესიო ტანსაცმელში გამოწყობილი, პროცესია ეკლესიისაკენ წაიყვანა. მათ შემდეგ იყო ჯარისკაცთა პოლკები, რამდენიმე მათგანი ხეივნის მხარეს იდგა წესრიგის დასაცავად. კათალიკოსმა ჯვარი მდინარეში ამოავლო, ნაკურთხი წყალი პირველად დიდებული გვარის ოფიცრებს დაასხურა, შემდეგ უბრალო ჯარისკაცებს. ცივ წყალს შეჩვეული ხალხი პირდაპირ წყალში შევიდა. მდინარის მეორე ნაპირს მყოფი ხალხი კი წყალს პეშვებით ისხამდა სხეულზე, თავ-ფეხს ივლებდნენ ნაკურთხ წყალში. დიდებულთაგან ამისათვის ყურადღება არავის მიუქცევია, თავიც არავის გაუბრუნებია იქით. მიუხედავად ასეთი თავყრილობისა, უთავბოლო ყაყანი იდგა, არაფერი ისმოდა. შემდეგ გაისმა ქვემეხებისა და თოფების ვრიალი.

ჯარის ის ნაწილი, რომელიც ამ დღესასწაულში იღებდა მონაწილეობას, დიდი მთავრის, წინანდელი იმპერატორის მბრძანებლობაში იმყოფებოდა.

ნათლისღების დღესასწაული სომეხებს სხვა დროს აქვთ, რუსული რელიგიური წესისაგან განსხვავებით. ამიტომ აქ იყვნენ მხოლოდ ქართველები დღესასწაულისათვის საჭირო ატრიბუტებით.

თბილისის თეატრი დიდი თეატრის მსგავსად ჯერ არაა დასრულებული. ახლანდელი თეატრი მდინარის პირასაა გაშენებული, ქალაქის ბაღის ახლოს. იგი დიდხანი არაა, რაც აქ გააშენეს. ორსართულიანი შენობაა. ზედა სართულზე მოთავსებულია ლოჟები, ქვევით რამდენიმე რიგად არის გაწყობილი სკამები. ისინი რაც შეიძლება მჭიდროდაა მიდგმული ერთმანეთთან. ეს ადგილები შედარებით ძვირი არის. ლოჟების ფასი კი 10-დან 20 რუსულ მანეთამდეა. უბრალო ხალხი თეატრს ისე არ ეტანება, როგორც წარჩინებულნი. მას უფრო ცირკის სანახაობები იზიდავს. საპატიო ადგილი თეატრში ბევრია. ისეა მოწყობილი, როგორც ირანული დარბაზი. განსაკუთრებული ადგილები სცენიდან ორი ზარეს სიმაღლეზეა, ლოჟები პატარ-პატარა ოთახებადაა დაყოფილი, ისე რომ შიგ ოთხი ადამიანი ეტევა. თითოეულ ლოჟას თავისი სპეციალური შესასვლელი აქვს. წინ გადაჭიმულია მოაჯირები, რომლებიც შუა თეატრს გადასცქერიან. თეატრის ჭაღები გაზით ინთება. წარმოდგენის დროს სინათლე ქრება დარბაზში. ჯერ ნელ-ნელა იკლებს და მერე სულ ქრება. სცენის წინ არიან მუსიკოსები, რომელთა ქამანჩების სიგრძე აღწევს 2 ზარეს. ერთი წყება მუსიკოსებისა ქამანჩებიან საკრავებზე უკრავს, მეორე ვიოლონჩელოსა და ჩასაბერ საკრავებზე და სხვა ამგვარ ინსტრუმენტებზე. სცენის მხარეს არის ძალიან ლამაზად მოხატული ფარდა. ფარდა აიწევა თუ არა, იწყება წარმოდგენა. ის სპექტაკლი, რომელიც მე ვნახე აქ, ასეთი შინაარსისა იყო: მთავარი გმირი ესპანეთის მეფის მთავარსარდალია, რომელმაც დაიპყრო აფრიკა და ზღვით დაბრუნდა უკან. პირველი ფარდა აიწია თუ არა, გამოჩნდა ზღვის ნაპირი და ნავსადგური. ზღვის ტალღები მღელვარებდნენ და ენერგიულად ეხეთქებოდნენ ნაპირს. შუაგულში მოჩანდა გამწვანებული კუნძული. ცის ერთი ნაწილი ღრუბლებს დაეფარა, მეორეზე მზე კაშკაშებდა. ამათ შორის შუა ზღვაში ჩანდა მომავალი გემი, რომელიც ნელ-ნელა ნაპირს მოუახლოვდა, გემში სწორედ ეს მავრი იჯდა თავისი ჯარით; გადმოვიდა ნაპირზე, მიესალმა მეფეს. ესპანეთის მეფემ იგი დიდი ღვაწლისათვის დაასაჩუქრა თავისი ასულით. ფარდა დაიხურა. მეორე მოქმედება წარმოადგენს საქორწილო ღონის: შეკრებილან დიდებულნი, არის დიდი ზემი და მხიარულება. პატარძალი ჩააბარეს სარდალს. მესამე მოქმედებაში ნაჩვენებია როგორ უკავშირდება ერთი ვერაკი იტალიელი მეფის ასულის მოსამსახურე ქალს; მისი საშუალებით იპარავს დედოფლის ცხვირსახოცს და მიაქვს ქმართან; ამან ეს სარდალს უთხრა და ეჭვებით შეპყრობილი სარდალი ჰკლავს დედოფალს; რო-

დესაც სიმართლე გაიგო (დედოფლის უდანაშაულობა), თვითონაც მოიკლა თავი. ეს მომენტი სცენაზე ძალზე შთამბეჭდავადია ნაჩვენები.

12 საათზე წარმოდგენა დამთავრდა. ამ თეატრში ხალხი უმეტესად ან ფრანგულად საუბრობდა, ან რუსულად.

#### ქალთა წინაჩვეულობანი

ევროპაში ყველა ქალი ემანისპირებულია და დიდის პატივისცემით სარგებლობს საზოგადოებაში. განსაკუთრებით რუსეთში არიან ისინი პატივით აღჭურვილნი საზოგადოებრივ ადგილებში. თბილისში ქალს ვერ იპოვით, გაუნათლებელი და უსწავლელი რომ იყოს. ყმაწვილი ქალები სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში იღებენ სწავლა-განათლებას. ეს სასწავლებლები უშვებენ კვალიფიციურ მდივნებს, გადამწერებს, ბუღალტრებს, მუსიკოსებს და ასეთი სხვა პროფესიის ადამიანებს. ქალების უმრავლესობა სხვა საქმეებითაც არის დატვირთული. იმათ შევხვდებით სხვადასხვა თანამდებობებზე: არიან მაღაზიის დირექტორები, ბუღალტრები, მოლარეები, მოსამსახურენი და სხვ. ტელეგრაფისტები, მდივნები, ბილეთების გამყიდველნი რკინიგზის სალონებში. სპეციალურ დაწესებულებებში მათ სპეციალური ტანსაცმელი აქვთ და მას ატარებენ. ქალები ჯარშიც მსახურობენ. ქართველ ქალებს აქვთ მზითვი ათი ათასი თუმნიდან მილიონამდე. ღარიბი ქალიშვილი ძალიან ლამაზიც რომ იყოს, ქმარს მაინც ვერ იშოვნის, თუ ფული არა აქვს. ამიტომ არის ხოლმე, რომ ხშირად მამაკაცები უშნო ქალებს თხოულობენ ფულის გულისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქალები, რომლებსაც ძალიან ლამაზი და მიმზიდველი შესახედაობა აქვთ და უფულონი არიან, ხშირად ცუდ გზას ადგებიან და უხამს საქმეებს გადაჰყვებიან ხოლმე. ისეთები, ვისაც არც სიმდიდრე აქვთ და არც ლამაზები არიან, განუდგებიან ამ ქვეყანას და მონაზენად იკვეცებიან. ბევრი ისეთი ქალი მინახავს პატროსანიც არის, კარგად და რიგიანად იქცევა, ლამაზიც არის, ქონება არა აქვს, მაგრამ იტანს ცხოვრების ყველა სიმწელეს, არ ერიდება მუშაობას და თავისი პირის ოფლით გააქვს ლელო: არც ნამუსზე იღებს ხელს.

ქალთა ტანსაცმელი არის სადა, გრძელი. კაბები ოქრომკერდიანი, ენიანი. არის ძეწკვიანი კაბები, რომლებიც ირანში იყო გავრცელებული, მაგრამ ახლა აღარავინ იცვამს იქ მათ, რადგან ეს ჩაცმულობა დიდი ხანია გადავარდა მოდიდან. ოქრომკერდიან, ძველ მოოქროვილ და ენიან კაბებს თბილისშიც ახლა მხოლოდ მოცეკვავეები და მსახიობები იცვა-

მენ თეატრებში. ტანსაცმელი, რომელიც ახლად მოდაში\*, ქალებს საგონებელში აგდებს.

ქუჩაში, ეტლში ჩაჯდომისას, მეჯლისზე მონაწილეობის დროს ქალები ყველგან და ყოველთვის პრიორიტეტით სარგებლობენ. მამაკაცები პატივს სცემენ და ყოველთვის წინ ატარებენ მათ. თუ ტრამვაი ხალხით არის გაჭედილი და დასაჯდომი ადგილი არ მოიძებნება, კაცები სწრაფად წამოხტებიან ადგილიდან და უთმობენ ადგილს მანდილოსნებს და თვითონ მთელი გზა ფეხზე დგანან, ყველგან ასეა. ვთქვათ ქალი აღის ან ჩამოდის ტრანსპორტიდან, მას აუცილებლად ხელს შეაშველებს მამაკაცი; ყოველთვის დიდი პატივით და ყურადღებით ეპყრობიან ხოლმე ქალებს სრულიად უცნობი მამაკაცებიც კი. თეატრში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ქმრები მოწიწებით ექცევიან თავის ცოლებს; აცმევენ პალტოს ან ხდიან. თუ ქალს თან არ ახლავს თავისი მეუღლე, მას სხვა მამაკაცი ემსახურება, სულერთია ნაცნობია თუ უცნობი. თეატრში, მეჯლისზე და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ქალი სრული თავისუფლებით სარგებლობს.

ქორწილი თბილისში ისევე ტარდება, როგორც სხვა კულტურულ ქალაქებში აქვს ამას ადგილი; სადად, უბრალოდ, ტრადიციულად. უმრავლესობა ასეთი ზეიმებისა სრულდება ერთ ღამეში. ზოგიერთი წესი, რომლებიც ტვირთავს და ამძიმებს ქორწილს, უკვე უკუგდებულია. ქორწილი ან სხვა თავყრილობა ყოველთვის მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს. ერთი საათი რვა მანეთი ღირს. ამისათვის საჭიროა სახელმწიფო ორკესტრის დაქირავება.

ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეც მოგვარებული აქვთ. ქალები არიან ბავშვების აღმზრდელები, დიასახლისები. ამას გარდა გოგონებს სკოლაში ყველა სხვა დარგის მეცნიერებას შეასწავლიან.

\* მოდა — ესკიზს, პროექტს ეტყვიან.

## კომენტარები\*

1. უ რ მ ი ა — ქალაქი ირანის აზერბაიჯანში, ურმიის ტბიდან დაახლოებით 20 კმ დაშორებით.
2. ჭ უ ლ ფ ა, ჭ უ ლ ფ ის გ ა ს ა ს ვ ლ ე ლ ი — ნახიჩევანის მაზრის სოფელი, ერევნის ოლქში: მდებარეობს იქ, სადაც მდინარე ალინჯა-ჩაი უერთდება არაქსს, არაქსის მარცხენა სანაპიროზე, სპარსეთის საზღვარზე, ჭურფა უკანასკნელი სადგურია კავკასიის რკინიგზის ხაზზე. აქედან გადის მთავარი ტრაქტი თავრიზსა და თეირანში. ძველი ჭულფა ძალზე მნიშვნელოვანი ქალაქი იყო მრავალრიცხოვანი დასახლებით (დაახლოებით 50 000), დღეს მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ამ სოფლის დაარსებას მიაწერენ სომეხთა მეფეს ტიგრან 1-ს. 1603 წელს შაჰ-აბასმა დაანგრია ჭულფა, 50 000 მცხოვრები აყარა და ისპანის ახლოს დასახლა. ამ აღგილას აღმოცენდა ახალი ჭულფა (ნორჯულა).  
ირანსა და რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობა ჭულფის საბაჟო კანტორის მეშვეობით წარმოებდა. ალინჯაჩაის სათავესთან არის საბორნე გასასვლელი არაქსზე. ესაა სწორედ ე. წ. ჭ უ ლ ფ ის გ ა ს ა ს ვ ლ ე ლ ი, რომელსაც იხსენიებს ტექსტში მაჯდ-ოს-ს-ს-ალტანე (იხ. С. Тер-Ованесян, город Джуфа, Тбилиси, 1937).
3. ა ს კ ე რ ა ბ ა დ ი — ნახიჩევანის მაზრის სოფელი, ნახიჩევანიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებული.
4. ყ ა რ ა ბ ა დ ი, ყ ა რ ა ბ ა დ ლ ა რ ი — ყოფილი სახანო შუშის ტერიტორიაზე, ელიზავეტპოლის გუბერნიაში. ყარაბადი არის აგრეთვე გოქჩის ტბის სამხრეთ-აღმოსავლეთითაც.
